

24 საათი

ექტორ რაულ კუპერი: "ამჟამად მხოლოდ სამი ქალისთვის ვიზრდობა"

რეპორტაჟი დუბლინიდან **A13**



ოზამას ეკონომიკური გადაწყვეტის ბაზა **A8**



ყაზბრანსგაზ-თბილისი
თ ბ ი ლ ის ი

"ყაზბრანსგაზ-თბილისი"-ს **განცხადება**

„ყაზბრანსგაზ-თბილისი“ სთხოვს თავის აბონენტებს, გაუგებრობების თავიდან აცილების მიზნით, მოხმარებული ბუნებრივი აირის საფასური გადაიხადონ მხოლოდ იმ ბანკებში, რომელთა ჩამონათვალი მითითებულია ქვეთრის მეორე მხარეს.

24 საათი

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე **www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

BORJOMI
ბორჯომი

GRDC group
ჰენის სადაზღვეო ჯგუფი

ქართული სამხედრო რეფორმა

ალტერნატიული ხედვა

რობერტ ჰაილტონი
სტრატეგისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრი

ცოტა ხნის წინ რამდენიმე სტატია და მოსაზრება გამოქვეყნდა, სადაც, გასული ზაფხულის მიწურულს, რუსეთთან კონფლიქტის დროს, ქართული არმიის საცოდავი მდგომარეობა იყო გაკრიტიკებული. ნაშრომების ავტორები ირწმუნებოდნენ, რომ საქართველოს სამხედრო მარცხს შეეძლო გაერთილებინა ან საერთოდ ხელი შეეშალა მომავალში საქართველოსთვის ამერიკის სამხედრო მხარდაჭერისთვის, რომლის მიზანიც ომის შემდეგ ვითარების გაჯანსაღება და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროცესის გაგრძელებაა. უმთავრესად შეერთებული შტატების ევროპული სამეთაურო შტაბის ოფიცრების მიერ დაწერილ, მაგრამ გაუიხილ საიდუმლო ანგარიშებზე დაყრდნობით მომზადებულ სტატიებსა და მოსაზრებებში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ საქართველოს შეიარაღებულ ძალებში ჯერ კიდევ რჩება სერიოზული პრობლემები.

ბაზრძილაბა A3 გვერდზე



სასო ბუალაშვილი, ფოტო

მარიონეტული პროვოკაციები

გუშინ ოსურმა შეიარაღებულმა დაჯგუფებამ სამსახურებრივი მანქანით მყოფი ეუთო-ს დამკვირვებლები გორის რაიონის სოფელ აძვიდან გაიტაცეს და ციხეხაღის მიმართულებით წაიყვანეს. ბოლო დროს ოკუპირებული ტერიტორიის ადმინისტრაციულ საზღვართან გატაცებები გახშირდა. რამდენიმე დღის წინათ შეიარაღებულმა ბანდოზირებებმა ავტომანქანა დააყაჩაღეს და გაიტაცეს. თუმცა ამჯერად გატაცების მიზეზი წმინდა კრიმინალური ინტერესებს სცდება და ასეთი ქმედების მიზანი საერთაშორისო ორგანიზაციის მისიის მუშაობის შეფერხება ხდება. ორი თვის წინათ სეპარატისტებმა ეუთო-ს ოფიცრებს ცეცხლი სოფელ ხვათიდან გაუხსნეს. გორის რაიონის ამ სოფლებში შერეული ქართულ-ოსური მოსახლეობა ცხოვრობს და სეპარატისტებს მათზე კონტროლის დამყარება სურთ. საქართველოს ხელისუფლება მიიჩნევს, რომ არსებული ვითარებიდან გამოსავალი საერთაშორისო ორგანიზაციების გააქტიურება და კონფლიქტის ზონების სრული დეოკუპაციაა.

დათო ბაჩიშვილი

შიდა ქართლის პოლიციის უფროსმა ვლადიმერ ჯუღელმა ეუთო-ს დამკვირვებლების გათავისუფლების საკითხზე რუს ოკუპანტებთან და სეპარატისტებთან სოფელ ერგნეთის მიმდებარე ტერიტორიაზე გამართა მოლაპარაკება. საქართველოს სამართალდამცველებისა და ეუთო-ს წარმომადგენლების ჩარევის შემდეგ, ისინი დაკავებიდან, დაახლოებით, სამი საათის შემდეგ გაათავისუფლეს. ეუთო-ს მისიის წარმომადგენლებს პრესასთან კომენტარი არ გაუკეთებიათ. სამართალდამცველების განცხადებით, მისიის წარმომადგენლებს ახსნა-განმარტება არც მათთვის მიუციათ. ეუთო-ს დამკვირვებლების გათავისუფლების შემდეგ აღნიშნული ფაქტის გადასაღებად ჩასული მედიის წარმომადგენლები სოფელ არცევიან შეიარაღებულმა ფორმირებებმა დააკავეს. სირველი არხისა და ტელეკომპანია იმედის გადასაღები ჯგუფები შეიარაღებულ პირებს რამდენიმე წუთის განმავლობაში ჰყავდათ დაკავებულები.

ბაზრძილაბა A2 გვერდზე

ნაღდაქადილი რუსილების ქვეყანა

ალექსანდრ ბრაილოვსკი

(დასასრული. დასაწყისი იხ. N 27, 28)

ექვნივება ბაბუაჩემ მორის თეთრადის ხსოვნას

რუსული სულიერების შესახებ შემდეგი მახსენდება. პეტრე პირველმა რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთ სამინისტროდ გადაქცევა შეძლო - რუსეთში არ არსებობდა აღსარების საიდუმლო. მღვდლები ვალდებული იყვნენ, გაეფრთხილებინათ პოლიცია. ნიცაში მოქმედ რუსულ ეკლესიაში შესასვლელად ფული უნდა გადაიხადო და ეს აღმაშფოთებელია. ეს ხომ ღმერთის ტაძარია! უფრო მეტიც, ალექსანდრ ნეველის სახელობის ეკლესიის კარებთან, რომელიც რუსეთის მთავარი მართლმადიდებლური ტაძარია პარიზში, 90-იანი წლების დასაწყისში მე საკუთრი თვალთვინაზე განცხადება რუსულ ენაზე: **გთხოვთ, დახმარებისთვის არ მოგვემართოთ**. საკუთარი თვა-

ლებით, რომ არ მენახა, არ დავიჯერებდი. ეს განცხადება ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ეკიდა. შემდეგ, მადლობა ღმერთს, ჩამოხსნეს. ბოლოს და ბოლოს, ეს ზატი-უშკების სინდისზე იყო. ოღონდ იმ ადამიანს, ვინც თავისი ეკლესიის კარებზე ასეთი განცხადება ჩამოკიდა, რაც გინდა ის უწოდეთ, მაგრამ - არა სასულიერო პირი. ეკლესიას არ შეუძლია თავის ყველა მსახურზე აილოს პასუხისმგებლობა. მაგრამ იგი პასუხისმგებელია იმაზე, ვის კანონიზაციასაც ახდენს, რადგან ეს უკვე მხოლოდ კონკრეტული მღვდლის ნებას არ წარმოადგენს. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ რა დამსახურებისთვის მოახდინა ნიკოლოზ მეორის კანონიზაცია? იმისთვის, რომ მან ქვეყანა რევოლუციამდე მიიყვანა? იმისთვის, რომ მისი უნიჭო მმართველობის გამო ხელისუფლებაში ბოლშევიკები მოვიდნენ, რომლებმაც ბანაკებში ჩაყარეს, დაასახიჩრეს და დახოცეს რუსეთის მილიონობით მცხოვრები - რუსები და არარუსები?

ბაზრძილაბა A5 გვერდზე

ქართული სამხედრო რეფორმა ალტერნატიული ხეობა

პირველი გვერდიდან



საბრძოლო მომზადება

ისინი ამტკიცებენ, რომ ქართული არმია უკიდურესად ცენტრალიზებულია და მიდრეკილია იმპულსური გადაწყვეტილების მიღებისკენ; ხიფათის შემცველია ბუნდოვანი ბრძანებების გამო და მართულია გავლენიანი მაკლარინოსების მიერ, რომლებიც პირადი სიმპათიების ხარჯზე და არა პროფესიონალური მახასიათებლებით არიან შერჩეულნი.

მეტიც, აღნიშნული სტატიების ავტორები ირწმუნებიან, რომ საქართველოს სამხედრო სფერო თანამედროვე სამხედრო ბიუროკრატიის ელემენტების დეფიციტს განიცდის - დანაწილებული ეროვნული უსაფრთხოების დოქტრინით და დამთავრებული სტრატეგიებით, რაც პერსონალის მართვის სისტემისთვის საიდუმლო მასალების შემუშავებას სჭირდება. დასკვნაში, რომ სწორედ ამ ფაქტორებმა ითამაშა დიდი როლი ავგისტროში რუსეთთან ომში საქართველოს დამარცხებაში, ავტორები ირწმუნებიან, რომ ქართულ არმიაში არსებული ნაკლოვანებები კიდევ უფრო რთულს გახდის ობამას ადმინისტრაციისთვის საქართველოს შეიარაღებული ძალების დახმარების პროგრამის შემუშავებას და ნატო-ს წევრობისთვის მის მომზადებას. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტორსაც, რომ ეს მომავალში კიდევ უფრო გააღვივანებს რუსეთს.

2006 წლიდან 2008 წლამდე მე საქართველოში შეერთებული შტატების თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ოფისის ხელმძღვანელი ვიყავი და შემძლია დავადასტურო, რომ სტატიაში მოყვანილი მრავალი კრიტიკული შენიშვნა სინამდვილეს შეესაბამება. ეს, ცხადია, არ ნიშნავს იმას, რომ ზემოაღნიშნული სტატიები ან ანგარიში, რასაც ისინი ეყრდნობიან საქართველოს თავდაცვისუნარიანობის შეფასებებისთვის საერთაშორისო საფუძველს უზრუნველყოფს - გააგრძელოს სამხედრო რეფორმა ან გააფართოოს ნატო-ს წევრობისთვის მზადყოფნა მომავალში ამერიკის დახმარებით. გარდა ამისა, ეს მიმოხილვები ზოგჯერ იმ ფაქტს ეყრდნობიან, რომ საქართველომ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობის შეცვლა ომის შემდეგ გადაწყვიტა, მაგრამ მათ მაინც არ შეუძლიათ ამ ცვლილებების მნიშვნელობის სათანადოდ შეფასება.

საქართველოს შეიარაღებული ძალების სწორ კონტექსტში წარმოდგენით, ჩვენ უნდა გავიგოთ სამი რამ: პროგრესი, რასაც 2002 წლიდან შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი დახმარების შედეგად მიადნის; როგორ გამოიყურება საქართველოს შეიარაღებული ძალები სხვა ქვეყნის ჯარებთან შედარებით, რომლებიც ფუნდამენტურ რეფორმას გადაიან მაშინ, როცა უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევის წინაშე დგანან; და ხარისხი, რომელმაც რუსეთთან ომის წაგებად, საქართველოს შეიარაღებული ძალებში ცვლილებების განსახორციელებლად კატალიზატორის როლი ითამაშა.

საქართველოს პროგრესი: მართალია, ავტორები მხოლოდ კრიტიკით არიან დაკავებული, სტატიებმა ვერ შეძლეს იმ პროგრესის სათანადოდ შეფასება, რასაც საქართველომ 2002 წლიდან დასავლეთის მნიშვნელოვანი დახმარების შედეგად მიადნია. ამ პროგრესის დასაზუსტად აუცილებელია კარგად იცოდეთ იმ დროისთვის ქართული ჯარის მდგომარეობა. მაშინ, როცა შეერთებულმა შტატებმა 2002 წელს სანვრთელი პროგრამის უმთავრესი ნაწილი და-

იწყო საქართველოში, ქართული არმია შეიარაღებული ძალების სახელს გაჭირვებით თუ იმსახურებდა. ქართული ჯარი საცოდავად ორგანიზებული ნაკრები იყო, სუსტი დისციპლინის მქონე შენაერთებით, რომელსაც უკიდურესად კორუმპირებული ხელმძღვანელობა და თითზე ჩამოსათვლელი თანამედროვე საბრძოლო აღჭურვილობის ერთეული გააჩნდა. ხუთი წლის განმავლობაში საქართველომ ერთაქმი 2000 ჯარისკაცი გაგზავნა, რითაც მან მესამე ადგილი დაიკავა ადგილზე დისლოცირებულ იმ მოკავშირე ჯარებს შორის, რომლებმაც ოფიციალურ ვაშინგტონს ერთაქმი დახმარება გაუწიეს. თანაც, ქართული საჯარისო შენაერთები არამარტო იცავდნენ ბაზებს, არამედ ქვეყნის მთლიან პროვინციას კოალიციის სახელით აკონტროლებდნენ, შეერთებული შტატების ხელმძღვანელობით, და სრულმასშტაბიან საბრძოლო ოპერაციებს აწარმოებდნენ, ოღონდ ზოგიერთ სფეროში - შეერთებული შტატების დიდი დახმარებით. შეერთებული შტატების ხელმძღვანელობა ხშირად, სხვა კოალიციურ ძალებთან შედარებით, უპირატესობას ქართულ შენაერთებთან ერთად მოქმედებას ანიჭებდა, რადგან ქართულ საჯარისო ნაწილებს უფლება ჰქონდათ ეწარმოებინათ აქტიური საბრძოლო მოქმედებები, რასაც მაღალი დონის ტექნიკური სფეროები ახორციელებდნენ კიდევ. ერთაქმი საქართველოს მონაწილეობა პროგრესის ერთ-ერთი, მაგრამ არა ერთადერთი ინდიკატორიც იყო. უცხოური სამხედრო ძალების შესაძლებლობების განვითარებაში უმთავრესი საკითხია ის, თუ როდის გააკეთო მათთვის რაღაც სასარგებლო და როდის მოითხოვო მათგან დამოუკიდებლად მოქმედება. შეერთებული შტატების დახმარებით უნარ-ჩვევების განვითარებას მხარს მასპინძელი სახელმწიფოც უნდა უჭერდეს, რადგან ეს ოფიციალურ ვაშინგტონს სუსტ ნერტილებზე დახმარების ფოკუსის გადატანის შესაძლებლობას აძლევს. საქართველოში რამდენიმე პროგრამა, რასაც შეერთებული შტატები სრულად ახორციელებდა - დანაწილებული ერთაქმი დისლოცაციამდე ჩატარებული წვრთნებით, UH1 ტიპის ვერტიკალური ჰელიკოპტერების სახმელთაშორის-საზღვაო ფლოტის აღჭურვილობა და პროფესიონალური სამხედრო განათლებით დამთავრებული - საქართველომ სრულად ან ნაწილობრივ

მაინც შეასრულა წლის დასაწყისში. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, სისტემების არსებობის მიუხედავად, საქართველო საკუთარი ჯარის მომავალზე პასუხისმგებლობის ალბით მნიშვნელოვან წინსვლას განიცდიდა.

სამართლიანი შეფასება: მეორე, მტკიცება იმისა, რომ შეერთებული შტატების რამდენიმეწლიანი დახმარებისა და საქართველოს ხელისუფლებაში მნიშვნელოვანი ინვესტიციების ჩადების შემდეგ, საქართველოს შეიარაღებული ძალები მოუმიწვებელი რჩება ანუ საბრძოლო მოქმედებებისთვის ცუდად მომზადებულია, დიდი ანგარიშით მართალია, მაგრამ კონტექსტს მოკლებულია. თუ გავითვალისწინებთ დახმარების საწყის ეტაპზე ქართული ჯარის სავალალო მდგომარეობას, გასაკვირი არაა, რომ ხუთწლიანი მცდელობებისა და დაახლოებით 200 მლნ აშშ დოლარის ინვესტიციების შემდეგ, საქართველომ ზრდასრული, თანამედროვე და კარგად მომზადებული ჯარის შექმნის პროცესი ვერ დაასრულა. განა შეგვიძლია ვთქვათ, რომ ერთაქმისა და ავღანეთის ჯარში ამერიკული რესურსების 100-ჯერ უფრო მეტი ოდენობით ინვესტიციის შემდეგ მათი შეიარაღებული ძალები მომწიფებული, თანამედროვე და კარგად მომზადებულია? ამით სულაც არ მსურს ამა თუ იმ მცდელობას ჩრდილი მივყავი - მე ავღანეთში ერთი წელი დავყავი და კარგად ვხვდები იქ არსებული პრობლემების მასშტაბსაც და ადგილობრივი ხალხის მზობასაც, გაუმკლავდეს ამ გამოწვევას. ეს, უბრალოდ, კარგი ილუსტრირება იმისა, თუ რაოდენ რთულია მოკლე ვადებში წარმატებული შეიარაღებული ძალების შექმნა, მით უფრო, თუ რეალური სამხედრო საფრთხის პირისპირ აღმოჩნდები. თუმცა, საქართველოც, ერთაქმისა და ავღანეთის რაღაცის გამოხსნობას მაინც ცდილობს.

საქართველოს ნაკლოვანი მხარეები მსოფლიოსთვის თვალსაჩინო გახდა რუსულ არმიასთან დაპირისპირების დროს. შეერთებული შტატების დახმარება, რაც ძირითადად ქართული ჯარის ერთაქმი ოპერაციებში მონაწილეობისთვის მომზადებას ემსახურებოდა, ამის დემონსტრირებას არ ითვალისწინებდა. ჩვენ შეგვიძლია ვივადოთ საქართველოში პოლიტიკური გადაწყვეტილებების სიბრძნეზე, რამაც ქვეყნის შეიარაღებული ძალები რუსული არმიის პირ-

ისპირ მარტოდ დარჩენამდე მიიყვანა, მაგრამ არ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ საქართველომ მომავალში ამერიკის სამხედრო დახმარების ან ნატო-ს წევრობის პერსპექტივა გაუშვა ხელიდან. რეალურად, თუ რუსეთის არმიის დამარცხება გარეშე ძალის დახმარებით ნატო-ს წევრობის ლაქმუსის ქალაქია, მაშინ გამოდის, რომ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის ამჟამინდელი 26 წევრიდან ამ გამოცდის წარმატებით ჩაბარება ბევრს გაუჭირდებოდა. კოლექტიური უსაფრთხოების მთელი არსი ხომ საფრთხის ერთად დაძლევაა.

ომის გავლენა: დაბოლოს, რუსეთთან ომის წაგება საქართველოს შეიარაღებული ძალებში მნიშვნელოვანი საკადრო ცვლილების კატალიზატორი აღმოჩნდა. ბევრს ერთი სული აქვს, გაკრიტიკოს საქართველოს შეიარაღებული ძალები, მაგრამ მისი მნიშვნელობის სათანადოდ დაფასება არ შეუძლია. საქართველოს შეიარაღებული ძალების შეტანის ახალმა ხელმძღვანელმა, განსხვავებით წინამორბედისგან, რომელმაც კარიერა პოლიციაში გაიკეთა და, აქედან გამომდინარე, საბრძოლო გამოცდილება ნაკლებად ჰქონდა, კარიერა სამხედრო სფეროში გაიკეთა. იგი ერთაქმი დისლოცირებულ ბატალიონს მეთაურობდა, ამასთან შეერთებული შტატების არმიის სამხედრო კოლეჯის კურსდამთავრებულიცაა.

იგი ქვეყნობიერად ხვდება ნაცნობობით მაღალ თანამდებობაზე დანიშნვის უსარგებლობას და იმას, რომ ამის გამო იმპულსურობასა და ზოგჯერ ირაციონალური გადაწყვეტილების მიღებას შეიძლება წააწყდეს საქართველოს შეიარაღებული ძალების მაღალ ეშელონებში, ამიტომ მოტივირებულია მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებისთვის. მისი ერთ-ერთი პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით ის იყო, რომ აქცენტის გაკეთებას, იარაღისა და აღჭურვილობის შესყიდვის ნაცვლად, დოქტრინის შემუშავებასა და თანამედროვე სამხედრო ძალების ინსტიტუციურ დაარსებაზე აპირებს. საამისოდ მან კადრები ყველაფერზე ნამსვლელი ან თავისი ახლობლების სამსახურში აყვანის ნაცვლად, კომპეტენტური, დასავლეთში განვრთნილი ოფიცრებით დააკომპლექტა.

მოკლედ, სტატიები არ ტყუიან იმამო, რომ საქართველოს თავდაცვას სერიოზული ნაკლოვანი მხარეები ჰქონდა, რის გამოც ოფიციალური თბილისი ავგისტროში რუსეთთან ომ-

ში დამარცხდა. თუმცა, სტატიების ავტორები სათანადოდ ვერ აფასებენ იმ პროგრესს, რასაც საქართველომ ძალიან მოკლე პერიოდში მიადნია, რაც, სამწუხაროდ, ზემოხსენებული ნაკლოვანი მხარეებით იყო დაჩრდილული. გარდა ამისა, ისინი იმ ხარისხსაც ვერ ხვდებიან, რომელიც ომამდე რეფორმების კატალიზატორი აღმოჩნდა - საქართველო ულაპარაკოდ დათანხმდა ამერიკის სამხედრო ექსპერტების ჯგუფის მიერ ინტენსიურ შესწავლას და დაკვირვებას, ხოლო ანგარიშის მომზადების შემდეგ თავის შეიარაღებულ ძალებში რამდენიმე მთავარი ფიგურაც შეცვალა. სხვა მოკავშირეებიდან რამდენი აღმოჩნდებოდა ასეთი მყისიერი ცვლილებებისთვის მზად? მესამე, ავტორები აჭარბებენ, როცა ამტკიცებენ, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების გამოვლენილი ნაკლოვანი მხარეები ობამას ადმინისტრაციას გაურთულებს ამოცანას, გააგრძელოს საქართველოს მხარდაჭერა ნატო-ში გასანვერთანებად ან განახლებული სამხედრო დახმარების აღმოსაჩენად. ნაკლოვანი მხარეები, რაც ანგარიშშია აღნიშნული, ზოგადად ბევრ პოსტსტატოთა ქვეყანასა და ვარშავის პაქტის ხელმომწერ სახელმწიფოებზე ვრცელდება. ზოგიერთი ამ ქვეყნებიდან უკვე ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრია, ხოლო სხვები განვითარებას ელიან.

და ბოლოს: საყურადღებოა იმ პირის მოტივების ახსნაც, ვინც ანგარიშში აღნიშნული ინფორმაციის გაყონვას შეუწყო ხელი. საიდუმლო ინფორმაციის პრესაში გაჟონვა არასაერთაშორისო და შეიძლება სერიოზული სასჯელი დაიმსახუროს. თუ პირი, ვინც საიდუმლო ინფორმაცია საჯარო განსჯის საგნად აქცია, უბრალოდ საქართველოს შეიარაღებული ძალების სისუსტით არის შემოფოტებული, არსებობს გზები, რომ ეს ნუხილი სასჯელი არიხებს საიდუმლო ინფორმაციის გაუჟონვად და კარიერის დამანგრეველი სასჯელის რისკის გარეშე მიანოდო. უფრო სარწმუნოა, რომ პირი, ვინც საიდუმლო ინფორმაცია გაამჟღავნა, პოლიტიკური მიზნებით და არა სამხედრო მოსაზრებით მოქმედებდა. მიზანი გავლენის მოხდენა იყო პოლიტიკის შემუშავების პროცესსა და პენტაგონში მიმდინარე ბრძოლაზე იმათ შორის, ვინც რუსეთსა და სხვა პოსტსტატოთა ქვეყნებთან ურთიერთობების განხილვისას ამჯობინებს სუბორდინაციის პრინციპს. საქართველოს შეიარაღებული ძალების უნარიანობაზე ანგარიშის ავტორებმა დაივიწყეს ბალანსი და პერსპექტივა და ამგვარად ხელი შეუწყვეს "რუსეთი უპირველეს ყოვლისა" პოლიტიკის განვითარებას. ასეთი პოლიტიკა, რომელიც, რა თქმა უნდა, თავს იჩენს სულ უფრო აგრესიული რუსეთის ფორმით, საბოლოოდ მხოლოდ წაახალისებს რუსეთის უკონტროლო ქცევას კავკასიაში და მის ფარგლებს გარეთ.

მიცე-პოლკოვნიკი რობერტ ჰამილტონი

ვიცე-პოლკოვნიკი რობერტ ჰამილტონი - 2008-2009 წლებში ვაშინგტონის სტრატეგიისა და საერთაშორისო კვლევების ცენტრში შეერთებული შტატების საერთაშორისო უსაფრთხოების პროგრამის წევრი. 2006 წლის ივლისიდან 2008 წლის ივლისამდე, თბილისში ხელმძღვანელობდა შეერთებული შტატების თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის ცენტრს. სტატიაში გამოთქმული შეფასებები ეკუთვნის მხოლოდ მას და არ წარმოადგენს შეერთებული შტატების არმიის თავდაცვის დეპარტამენტის ზოგად ხედვას.

მხარეთა შეთანხმების საფუძველზე შეწყვეტილი ხელშეკრულება

“სადაზღვევეო კომპანია “აღდაგი ბისიაი“-მ და სასჯელალსრულების დეპარტამენტმა პატიმრების (მსჯავრდებულების) ჯანმრთელობის დაზღვევასთან დაკავშირებით დადებული ხელშეკრულება 1 თებერვლიდან, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, გააუქმეს,” - აცხადებს სადაზღვევეო კომპანია “აღდაგი” საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი მაია ივჩენკო. მისივე განმარტებით, 2007 წლის ნოემბრიდან 2009 წლის იანვრამდე სადაზღვევეო კომპანიამ სამედიცინო დაზღვევისთვის 3 მილიონ ლარზე მეტი დახარჯა. აქედან მხოლოდ მედიკამენტებზე - 1 013 152,504 ლარი.

ივჩენკოს ინფორმაციით, კვლავ ძალაში რჩება ხელშეკრულება სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევის შესახებ.

2007 წლის 26 ოქტომბერს ჩატარებული ტენდერში სადაზღვევეო კომპანია “აღდაგი ბისიაი” გაიმარჯვა. ორ უწყებას შორის შესაბამისად გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, სადაზღვევეო კომპანიამ თავის თავზე აიღო, როგორც პატიმრების, ასევე, დეპარტამენტის თანამშრომელთა ჯანმრთელობის დაზღვევა.

1 თებერვლიდან გაუქმდა მხოლოდ პატიმართა და მსჯავრდებულთა ჯანმრთელობის დაზღვევა, დანარჩენი ლოტები კი კვლავ ძალაში რჩება.

ივჩენკოს ინფორმაციით, ხელშეკრულების შეწყვეტის ძირითადი მიზეზი იყო ის, რომ პროექტი კომპანიისთვის ზარალიანი აღმოჩნდა. გარდა ამისა, როგორც ივჩენკო აცხადებს, ციხეებში დასაქმებული ექიმები მოითხოვდნენ კვლავ სასჯელალსრულების დეპარტამენტის თანამშრომლებად დაბრუნებულიყვნენ. ექიმები სასჯელალსრულების დეპარტამენტის სამსახურს ერთეულს რომ ითხოვდნენ, სასჯელალსრულების დეპარტამენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსი სალომე მახარაძეც ადასტურებს.

მედიანიუსი

საერთაშორისო კონფერენცია

დღეს, სასტუმრო “შერატონ მეტეხი პალასში” გაიმართება საერთაშორისო კონფერენცია თემაზე - გამობატვის თავისუფლება. ღონისძიება ეძღვნება საქართველოს სახალხო დამცველის ინსტიტუტის დაარსების 10 წლისთავს.

კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად თბილისში 12 ევროპული ქვეყნის ომბუდსმენები და მათი წარმომადგენლები ჩამოვლენ. კონფერენციას ასევე დაესწრებიან საქართველოში მომუშავე ადამიანის უფლებათა დამცველი საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელები. ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარი თომას შამარბერგი.

ღონისძიება წარიმართება საბერძნეთის ომბუდსმენის ოფისისა და ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა კომისარის ოფისთან არსებული Eunomia-ს პროექტის მხარდაჭერით.

მედიანიუსი

შეტაკება რუს სამართალდამცველებსა და არაფორმალური სამხედრო დატყუებების წევრებს შორის

ჩეჩნეთში, სამხრეთ აღმოსავლეთ ნაწილში, მთიან ზონაში, რუს სამართალდამცველებსა და არაფორმალური სამხედრო დაჯგუფების წევრებს შორის შეიარაღებული შეტაკება მოხდა. დაჭრილები და დაღუპულები ორივე მხარეს არიან.

ჩეჩნეთის შს სამინისტროს მონაცემებით, არაფორმალური შეიარაღებული დაჯგუფების წევრთა ნაწილი დასახლებულ პუნქტ დარლო-ვედენოსთან ახლოს მდებარე ტყის მასივში მიმდინარე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების გატარებისას აღმოაჩინეს.

ოპერატიული მონაცემებით, ჯგუფი 30 ადამიანისგან შედგებოდა და მას სავსე მეთაური, 33 წლის უსმან მუნციგოვი მეთაურობდა, რომელიც დასახლებულ პუნქტ დარლოს მკვიდრია.

სააგენტო “იტარ-ტასი” სამართალდამცველებზე დაყრდნობით ავრცელებს ინფორმაციას, რომ მუნციგოვზე 2006 წლიდან ძებნა იყო გამოცხადებული.

ჩეჩნეთის შს სამინისტროს ინფორმაციით, მუნციგოვი ხელმძღვანელობდა დასახლებულ პუნქტ ბენოი-ვედენოზე თავდასხმას, რომელიც შარშან ივნისში განხორციელდა

ჯი-ეი-ენი

თანაგრძნობას ვუცხადებთ მაია ჟღენტს დედის გარდაცვალების გამო

იურიდიული დახმარების სამსახურის ფუნქცია ახალ სამინისტროში უცვლელია

იურიდიული დახმარების სამსახური საქმიანობას სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა ახლად შექმნილ სამინისტროს დაქვემდებარებაში გააგრძელებს. ეს სამსახური თავდაპირველად ექსპერიმენტის სახით ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბაზაზე შეიქმნა, მაგრამ მას შემდეგ, რაც ყველასთვის ნათელი გახდა, რომ დამოუკიდებელი ადვოკატურების პარალელულად, აუცილებელი იყო ქვეყანაში ფინანსურად დაუცველ ფენის ინტერესების დაცვა, იგი სახელმწიფო სტრუქტურად გადაკეთდა და იუსტიციის სამინისტროს დაექვემდებარა. იუსტიციის სამინისტროდან იურიდიული დახმარების სამსახურის გამოსვლის საკითხი კი, მას შემდეგ დადგა, რაც ამ სამინისტროს გენერალური პროკურატურა გაუერთიანდა.

იმისათვის, რომ საზოგადოებრივი ადვოკატურა სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების ახლად შექმნილ სამინისტროს დაქვემდებარებულა ცვლილება შევიდა კანონმდებლობაში. იურიდიული დახმარების სამსახურისათვის საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსის შენარჩუნებასთან ერთად, სამსახურის დამოუკიდებლობის გარანტიების, საზოგადოებრივი ნდობისა და საზოგადოებრივ ადვოკატად დანიშნისთვის მოქმედი პირობების ძალაში დატოვებაც იგულისხმებოდა.

ახალი ცვლილებით, იურიდიული დახმარების სამსახურზე მონიტორინგში მონაწილეობას მიიღებს პარლამენტი, რაც “იურიდიული დახმარების შესახებ” კანონით იქნება გარანტირებული.

ახალი კანონით, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭო იქნება არა მხოლოდ მონიტორინგის მიზნით, არამედ მისი საქმიანობის დამოუკიდებლობის,

გამჭვირვალობისა და ეფექტურობის უზრუნველყოფისთვის.

რაც შეეხება საბჭოს, იგი კვლავ შეიძენვირის იქნება, თუმცა მისი შემადგენლობა კანონით იქნება განსაზღვრული. კერძოდ, იურიდიული დახმარების სამსახურის მონიტორინგის საბჭოში ერთი წევრი საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი იქნება, ერთი - უზუნაესი სასამართლოს მოქმედი მოსამართლე, ერთი - პარლამენტის იურიდიულ ან ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტების წევრი, ხოლო ერთი - ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საქმიანობის განმახორციელებელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი. ამასთან, საბჭოს საქმიანობაში წევრის სახით სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრის მოადგილეც მიიღებს მონაწილეობას. საბჭოს სხდომებში ასევე, სათაბირო ხმის უფლებით მონაწილეობას მიიღებენ იურიდიული სამსახურის დირექტორი და იურიდიული

დახმარების ბიუროს ორი წარმომადგენელი.

ამასთან, ახალი კანონით, “იურიდიული დახმარების შესახებ”, უფასო იურიდიულ დახმარებით, ძირითადად, ის პირები ისარგებლებენ, რომლებიც სოციალურად დაუცველთა ბაზაში არიან შეყვანილნი. იურიდიული დახმარების სამსახურის დირექტორს კი შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება, რომ უფასო მომსახურება ამ ბაზის მიღმა მყოფ პირებსაც გაენიოთ. კონკრეტულად რა შემთხვევაში შეიძლება გაენიოს უფასო იურიდიული დახმარება სოციალურად დაუცველთა ბაზის გარეთ მყოფ პირებს, კანონით განსაზღვრული არ იქნება და ეს მთლიანად სამსახურის დირექტორის კომპეტენციაში შედის.

მიუხედავად, იმისა, რომ იურიდიული დახმარების სამსახური ახლად შექმნილ სამინისტროს დაქვემდებარა, კვლავ უცვლელი რჩება სამსახურის ფუნქციები და სტატუსი. იურიდიული დახმარების სამსახური, ახალი სამინისტროს სისტემაში არსებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის სახით, მოქალაქეებს უფასო საადვოკატო მომსახურებასა და სამართლებრივ კონსულტაციებს გაუწევს, - აღნიშნულია იურიდიული დახმარების სამსახურის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

პრესსამსახურის ინფორმაციით, ამჟამად იურიდიული დახმარების სამსახურის ათი ბიურო და ორი საკონსულტაციო ცენტრი - კახეთის, შიდა

ქართლის, ქვემო ქართლის, მცხეთა-მთიანეთის, იმერეთის, სამეგრელოს, გურიის, რაჭა-ლეჩხუმის, აჭარის რეგიონებსა და თბილისში ფუნქციონირებს. გასული წელს სამსახური 14 ათასზე მეტ მოქალაქეს მოემსახურა.

აღსანიშნავია, რომ იურიდიული დახმარების სისტემის რეფორმის პროცესი 2004 წელს დაიწყო და მასში აქტიურად იყვნენ ჩართული საქართველოს იუსტიციის სამინისტრო, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, ფონდი “ლია საზოგადოება - საქართველო”, “IRIS - საქართველო” და აშშ-ს განვითარების სააგენტო (USAID).

რეფორმა რანდენიმე ეტაპად წარიმართა. 2005 წელს პილოტური პროექტის ფარგლებში, იუსტიციის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - “საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახური” და მისი ორი ტერიტორიული ბიურო შეიქმნა. ამ ოფისებში დასაქმებული ადვოკატები, სისხლის სამართლის პროცესის ამა თუ იმ სტადიაზე, ექვმიტანილის, ბრალდებულისა და განსასჯელის დაცვას ახორციელებდნენ. 2007 წლის ივლისიდან, უფასო სამართლებრივი დახმარების საკითხი უკვე კანონით დარეგულირდა და იუსტიციის სამინისტროს სისტემაში, “საზოგადოებრივი ადვოკატის სამსახურის” პილოტური პროექტის ბაზაზე საჯარო სამართლის იურიდიული პირი - იურიდიული დახმარების სამსახური შეიქმნა.

საკუთარი ინფორმაცია

პირველი დავალება დიმიტრი შაშკინს

მარი ახსიაჯილი

მოდრობა “ერთიანი საქართველოსთვის” ერთ-ერთმა ლიდერმა ეკა ბესელიამ პრესკონფერენცია გამართა და საზოგადოების სახელით დავალება მისცა სასჯელალსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების სამსახურის მინისტრ დიმიტრი შაშკინს.

ეკა ბესელიას განცხადებით, ქვეყანაში უმძიმესი ვითარებაა ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით და ეს მხოლოდ უკანონოდ გამოტანილ სასამართლო განაჩენებში არ აისახება. მისი თქმით, დაკავებული მამართ არაადამიანურ მოპყრობას იჩენენ ციხეებსა და საპყრობილებში.

“არის კონკრეტული ფაქტები, რომ საპყრობილების ხელმძღვანელები უშუალოდ მონაწილეობენ დაკავებულთა და მსჯავრდებულთა მიმართ არაადამიანურ და სასტიკ მოპყრობაში, ცემასა და წამებაში,” - განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისი თქმით, სასჯელალსრულების დაწესებულებებში კა-

ტასტროფული ვითარებაა დაავადებულ პატიმართა მიმართ სამედიცინო დახმარების განევის მხრივაც. მისი ინფორმაციით, გლდანის მერვე საპყრობილეში ინვალიდ პატიმარ მერაბ ნიკლაურს სამედიცინო დახმარება ესაჭიროება, არადა, მას არ გააჩნია მკურნალობისთვის საჭირო ელემენტალური პირობები და მედიკამენტები.

ეკა ბესელიამ საზოგადოებრივ სტატისტიკური მონაცემებიც მოიყვანა. მისი თქმით, 2009 წლის ერთ თვეში უფრო მეტი პატიმარია გარდაცვლილი, ვიდრე 2008 წლის პირველ ნახევარში მთლიანად. ხოლო 2008 წლის ბოლოს გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობა გასული წლების მაჩვენებელზე 2-ჯერ მაღალია.

“ეს განპირობებულია იმით, რომ დაკავებულს არ აქვს ადეკვატური სამედიცინო დახმარების მიღების შესაძლებლობა. ამასთან, გადამდები ავადმყოფობის დროს დაავადებულები არ არიან იზოლირებული, რის გამოც ხდება ავადმყოფობის გავრცელება,” - აღნიშნა მან.

“სასჯელალსრულებით დაწესებულებებში არსებული უმძიმესი ვითარება ძალზე

სწრაფად უნდა გამოსწორდეს. უნდა დაისაჯოს ყველა ის პასუხისმგებელი პირი, ციხის დირექტორი თუ ადმინისტრაციის სხვა წარმომადგენელი, ვინც მხილებულია პატიმართა წამებაში, - დასძინა ეკა ბესელიამ. მან საზოგადოებას მოუწოდდა, დაკავებულთა უფლებების დარღვევის და უსამართლობის კონკრეტული საქმეები და ფაქტები მიანოღონ.

ადამიანის უფლებების დაცვის კუთხით უმძიმესი ვითარებაა ციხეში, ჩვენ ვაძლევთ პირველ დავალებას ახალი უწყების ხელმძღვანელ დიმიტრი შაშკინს, რომ შეისწავლოს პატიმართა წამების ფაქტები ციხის ადმინისტრაციის წარმომადგენლების მხრიდან და დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება. თითოეულ ფაქტს, რომელსაც ჩვენ იურიისტები შეისწავლიან, სასჯელალსრულების პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს გავაცნობთ და განვახორციელებთ ამ უწყების მხრიდან რეაგირებაზე მონიტორინგს,” - განაცხადა ეკა ბესელიამ.

მისი თქმით, განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა რუსთავის ძველ კოლონიაში, გლდა-

ნის საპყრობილეში, ქალთა და გეგუთის კოლონიაში, სადაც პატიმართა ცემის ფაქტები ყოველდღიურად ფიქსირდება.

ამასთან, ბესელიას თქმით, საპატიმროებში ურთულესი მდგომარეობაა საკვების მიღების თვალსაზრისით. ბოლო დღეებში მოიწამლა რამდენიმე პატიმარი, მათ შორის ჯარისკაცებიც.

სასჯელალსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა სტრუქტურათაშორისი ჯგუფის მუშაობასთან დაკავშირებით განმარტება გააკეთა და აღნიშნა, რომ ჯგუფის მთავარი მიზანი ოპოზიციასთან და საზოგადოებასთან დიალოგის წარმოება იქნება.

“სტრუქტურათაშორისი ჯგუფის მთავარი მიზანი იქნება დიალოგი ოპოზიციასთან, საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან,” - აცხადებს დიმიტრი შაშკინი.

მან კომენტარი სტრუქტურათაშორისი ჯგუფის წევრებთან დაკავშირებითაც გააკეთა და განაცხადა, რომ ამ ჯგუფში არასამთავრობო და საზოგადოებრივი სექტორის წარმომადგენლები შევლენ.

ობამას აკონომიკური გადაწყვეტილების ბაზა

მარიკა იაშვილი



AFP, 2009

აშშ-ს პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ კონგრესს ეკონომიკური გეგმის დამტკიცებისკენ მოუწოდა. ობამას მიერ შემუშავებული ეკონომიკის სტიმულირების პროექტი ქვეყნის ეკონომიკაში 800 მილიარდი აშშ დოლარის ჩადებას გულისხმობს.

პრეზიდენტის სიტყვებით, გეგმის განხორციელების დიდი ხნით გადადება ქვეყანას კატასტროფა მდგომარეობაში მიიყვანს.

ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე, რომელიც აშშ-ს საგარეო პოლიტიკას ეძღვნებოდა, ობამამ კიდევ ერთხელ მოუწოდა რუსეთს, განაახლოს მოლაპარაკებები ბირთვული იარაღის რაოდენობის შემცირების შესახებ, რაც სხვა ქვეყნებისთვისაც მაგალითის მიმცემი იქნება და აიძულებს მათ, უარი თქვან ბირთვული იარაღის წარმოებაზე.

ობამამ ირანთან პირდაპირი მოლაპარაკებების დაწყების სურვილიც გამოთქვა და აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები უნინდებურად შემფოთებულია ირანის მიერ ბირთვული პროგრამის განხორციელებით და თეირანის მიერ ტერორისტების მხარდაჭერით.

საგარეო პოლიტიკის საკითხების გარდა, პრესკონფერენციაზე ობამამ კომენტარი საშინაო პოლიტიკაზე, კონკრეტულად კი ეკონომიკურ პრობლემებზეც გააკეთა. მისი თქმით, გეგმის მიხედვით, რომელიც მან ამერიკული ეკონომიკის გადასარჩენად შემუშავა, 4 მილიონი სამუშაო ადგილი შეიქმნება.

აშშ-ს კონგრესის წარმომადგენელთა პალატამ გეგმა უკვე დამტკიცა. ამჟამად მას სენატი განიხილავს.

კონგრესის ორ პალატაში განსახილველი გეგმები ერთმანეთისგან, მართალია უმნიშვნელოდ, მაგრამ მაინც განსხვავდება. წარმომადგენელთა პალატის წევრები მეტი თანხების გამოყოფას სკოლებისა და

შტატების ხელისუფლებისთვის გეგმავე, ხოლო სენატში ძირითად აქცენტს გადასახადების შემცირებაზე აკეთებენ.

საკანონმდებლო ორგანოს წარმომადგენლებმა ერთი ვერსია უნდა შეიმუშაონ და დოკუმენტის საბოლოო ვარიანტი 16 თებერვლისთვის მიიღონ.

პარასკევს გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ამერიკაში იანვრის განმავლობაში სამუშაოს გარეშე 600.000 ადამიანი დარჩა. უმუშევართა რაოდენობამ ქვეყანაში 7.6 პროცენტს მიაღწია, რაც ბოლო 17 წლის განმავლობაში დაფიქ-

სირებული ყველაზე მაღალი მაჩვენებელია.

აშშ-ში ამჟამად აქტიურად განიხილება ის ქმედებები, რომლებიც ბარაკ ობამამ ბანკირებთან მიმართებაში განახორციელა. კონკრეტულად კი საუბარია ხელფასის შემცირებაზე იმ ბანკებისა და ფინანსური ორგანიზაციებისთვის, რომლებიც დახმარებას სახელმწიფო ხაზინიდან იღებენ. ობამას გეგმის მიხედვით, მათ არ აქვთ უფლება, წლის განმავლობაში 500.000 ამერიკულ დოლარზე მეტი შემოსავალი მიიღონ.

ამ ღონისძიებას საზოგადოებაში საკმაოდ დადებითი გამოხმაურება ჰქონდა, თუმცა სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ამას არავითარი რეალური შედეგი არ მოყვება. ბანკებსა და სხვადასხვა კომპანიებში შეიქმნა საშიშროება, რომ საუკეთესო ტომ-მენეჯერები იმ კომპანიებში გადავლენ სამუშაოდ, რომლებიც ფინანსურად ხაზინაზე არ არიან დამოკიდებული და, შესაბამისად, ანაზღაურებაზე შეზღუდვებიც არ ეხებათ.

ფინანსურ ფორუმებზე ობამას ამ ინიციატივის გამო უკმაყოფილება სულ უფრო ხშირად ისმის. აგრეთვე ძალიან ხშირად ავლებენ პა-

პრეზიდენტს უფლება აქვს, სრულიად უფასოდ წაიყვანოს თანამშემუნა დიდი გუნდი, ბანკირებს კი ამის გაკეთება არ შეუძლიათ. უზარმაზარი თეთრი სახლის გარდა, რომელიც 132 ოთახისგან შედგება, პრეზიდენტი უფასოდ სარგებლობს კემპ-დენდის აგარაკით, უამრავი პირადი მცველით, მოახლეებით, ბრონირებული ლიმუზინებითა და ვერტმფრენით. გარდა ამისა, ობამა უფასოდ სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით, რაც ამერიკაში საკმაოდ ძვირადღირებულია.

თუმცა აშშ-ს პრეზიდენტი ვალდებულია, პროდუქტი საკუთარი ფულით შეიძინოს, კერძებს კი მისთვის თეთრი სახლის შეფ-მზარეული ამზადებს. სამაგიეროდ, არსებობს რაღაცები, რასაც ობამა, ტომ-მენეჯერებით, თავად აკეთებს. ის თავისი ჯიბიდან იხდის ფულს ალკოჰოლური სასმელისთვის, ქიშკინდისა და თქვენ წარმოიდგინეთ, კბილის პასტისთვისაც კი.

ბერვლის ღამეს, მოსკოვში გროზნოს ყოფილი ვიცე-მერი გილან შაპიევი მოკლეს. საგარეოდოდ საქმე შეკვეთილ მკვლელობასთან გვაქვს: კილერი შაპიევის სახლის სადარბაზოსთან ელოდებოდა. მან მსხვერპლს თავში სამჯერ ესროლა და მიიძალა.

13 იანვარს ავსტრიაში უმარ ისრაილი - კადიროვის ყოფილი პირადი მცველი მოკლეს. ისრაილი ჩეჩნეთის პრეზიდენტს ადამიანთა დატყვევებასა და წამებაში ადანაშაულებდა.

2008 წლის 24 ნოემბერს მოსკოვში, სმოლნის სანაპიროზე, რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი რუსლან იამადაევი მოკლეს. უცნობმა პირმა ცეცხლი ავტომობილს გაუხსნა, რომელშიც იამადაევი და ჩეჩნეთის ყოფილი სამხედრო კომენდანტი სერგეი კიზიუნი იხსდნენ. იამადაევი ადგილზევე გარდაიცვალა. რაზმან კადიროვი იამადაევის ოჯახის ერთ-ერთ მტრად მიიჩნევა.

2006 წლის ნოემბერში მოსკოვში რუსი და ჩეჩენი სამართალდამცავების მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დაიღუპა სპეცგზგუფ "გორეცის" ყოფილი მეთაური მოველადი ბაისაროვი. ბაისაროვი ჩეჩნეთის პროკურატურის მერ ადამიანების გატაცებისა და ათობით მკვლელობის ჩადენის ბრალდებით იძებნებოდა. ისიც კადიროვის მონინა-აღმდევედ მოიაზრებოდა.

ზაკაევის ჩიხნეთში დაბრუნება სურს

მარიკა იაშვილი

ჩეჩენი სეპარატისტი ახმად ზაკაევი, რომელიც ახლა დიდ ბრიტანეთში იმალება, მზად არის, სამშობლოში დაბრუნდეს. საკუთარი გადაწყვეტილების შესახებ იგი ჩეჩნეთის პრეზიდენტ რამზან კადიროვის ესაუბრა.

"ზაკაევს არა მხოლოდ თავად სურს დაბრუნება, არამედ მზად არის, სხვა ჩეჩენი ემიგრანტებზე დააბრუნოს. თუმცა, მიუხედავად ხელშეუხებლობის პირობისა, ამის გაკეთების ჯერჯერობით ეშინია," - განაცხადა ჩეჩნეთის ლიდერმა გამოცემა "როსისის კაია გაზეტასთვის" მიცემულ ინტერვიუში.

კადიროვი ამტკიცებს, რომ ზაკაევი მას თავად დაუკავშირდა და თავის გეგმებზე ესაუბრა. "ზაკაევი მებრძოლი არ არის, ამიტომ მისი პატიება შეიძლება," - მიიჩნევს პრეზიდენტი. მისი პოზიცია ვერც ახმად ზაკაევის ემისრის, ტერაქტის მომზადებაში ეჭმიტანილ ისა ახმედოვის განადგურებამ შეარყია, რაც არცთუ დიდი ხნის წინ მოხდა.

"ზაკაევს დაბრუნება უნდა. მან მითხრა, რომ ჩეჩენი ქვეყნისთვის მეტი სარგებლობის მოტანა სურს. მას სამშობლოში დაბრუნება ევროპაში მცხოვრებ სხვა ჩეჩენ ემიგრანტებთან ერთად სურს და ეს მისი მთავარი მიზანია. თუმცა მე მივიჩნევ, რომ

რო. "ჩვენ უკვე დავაბრუნეთ მასხადოვის ორი მომხრე - სუგაიპოვი და უმარ ხამბიევი. ისინი ჩამოვიდნენ და ნახეს, რომ აქ არავინ უშლით ლოცვას, მეჩეთების აშენებას და მშვიდობიან ცხოვრებას. ომის შემდეგ ჩვენ ისევე ცოტა მამაკაცი დავგვრჩა. მიმაჩნია, რომ თითოეული ჩეჩენის სიცოცხლისა და სულისთვის უნდა ვიბრძოლოდ," - აცხადებს კადიროვი.

ჩეჩნეთის პრეზიდენტის მტკიცებით, მას მონინაღმდეგეების დახოცვაში მონაწილეობა არ მიუღია და ისინი ჩეჩნეთის მტრებმა დახოცეს. ბოლო პერიოდში განხორციელებულ ჩეჩენთა გახმაურებულ მკვლელობებს, მათ შორის მის მონინაღმდეგეთა დახოცვას, კადიროვი რესპუბლიკის აღდგენის მცდელობისათვის შურისძიებად მიიჩნევს.

"ბოლო პერიოდში მართლაც ძალიან ბევრი გახმაურებული მკვლელობა მოხდა," - აღიარებს კადიროვი, - "მე არ ვიცი, ვინ დგას ყველა ამ დანაშაულის მიღმა ან რატომ იღვრება ამდენი სისხლი. ჩვენ რესპუბლიკის აღორძინებას ვცდილობთ და ეს მოკლული ადამიანები ხელს არაფერში გვიშლიდნენ. მათი სიკვდილი მომგებიანი შესაძლოა, მხოლოდ ჩეჩნეთის მტრებისთვის ყოფილიყო."

ბოლო პერიოდში რუსეთსა და ევროპაში ჩეჩენთა მკვლელობების სერია განხორციელდა: ხუთი თე-

მიუხედავად ამისა, კადიროვი ამტკიცებს, რომ ჩეჩნეთი აღარ არის ცხელი წერტილი და ამაში დასარწმუნებლად მხოლოდ გროზნოში ჩასვლაც საკმარისია. "ის დრო, როდესაც ჩეჩნეთი ცხელი წერტილი იყო, შეგვიძლია დავივიწყოთ. ვისაც ამაში დარწმუნება სურს, გროზნოში ან რომელიმე სხვა დასახლებულ პუნქტში ჩავიდეს. თუმცა გროზნოს ნახვა ჯობს, რადგან ომის დროს ის ყველა სხვა ქალაქზე მეტად დაზარალდა. იყო დრო, როდესაც მას სტალინგრადსაც კი ადარებდნენ."

კადიროვის თქმით, დღეს გროზნო უკვე განვითარებული ქალაქია ახალი ქუჩებით, ბაღებითა და შენობებით. ის განათებულია, ძალიან სუფთაა და ქუჩებში სიარული სრულიად უსაფრთხოა.

პრეზიდენტი დარწმუნებულია, რომ მიუხედავად უმუშევრობის პრობლემისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა, მისი ქვეყანა განვითარებას განაგრძობს. მისი თქმით, არსებობს ვარაუდი რომ ჩეჩნეთის განვითარებისთვის გამოყოფილი თანხის რაოდენობა 15 პროცენტით შემცირდება, რაც ქვეყნისთვის მიმდებარე იქნება, თუმცა - არა სასიკვდილო.

"მიუხედავად არსებული კრიზისისა, ჩეჩნეთში სერიოზული ინვესტიციების განხორციელება იკავშირდება და, დამერწმუნეთ, 5 წლის შემდეგ ჩეჩნეთს ვეღარ იცნობთ," - გვპირდება კადიროვი.

რევოლუ



ჩინეთის სხვადასხვა ქალაქებში უკვე ტრადიციულ ფესტივალს მართავენ. "სინათლის ფესტივალი", ბევრისთვის პირდაპირ თარგმანში "განათების ფესტივალია". ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მთავარი ისაა, რომ შეზინდდება თუ არა ჩინეთის, დიდ ქალაქებში წარმოდგენები იმართება, ამ წარმოდგენებში მთავარი ეფექტი სწორედ განათებას და ფერად შუქებს ენიჭებათ. ასევე საინტერესოა თუ როგორ ეჭიბრებიან ერთმანეთს გუნდები სხვადასხვა არქიტექტურული ნაგებობების განათებაში. შუა ღამით, ამ ფერადოვან მართონს ფოიერვერკები ასრულებენ.

"გრემი"

ლოს ანჯელესის Staples Center-ში ამერიკული ხმისჩამწერი აკადემიის პრიზის - "გრემი"-ს დაჯილდოების 51-ე ცერემონია გაიმართა. გამოკითხვის შემდეგ აკადემიის 20 ათასმა წევრმა უცხოელებიდან უსიტყვო გამარჯვება ბრიტანელებს მიანიჭა. დაჯილდოების ცერემონია ჯგუფმა U2-მ ახალი სიმღერის - Get on Your Boots პრემიერით გახსნა. იგი დიდი ხნის ნანატრი ახალი ალბომის პირველი სიმღერა გახლავთ, რომლის გამოშვებაც გაზაფხულისთვის არის დაგეგმილი. ამის შემდეგ სცენაზე უიტნი ჰიუსტონი გამოვიდა. 2007 წელს ბობი ბრაუნთან ხმაურიანი განშორების შემდეგ, საზოგადოების წინაშე მომღერალი იშვიათად ჩნდება და დიდ დროს სარეპილიტიცაიო კლინიკებში ატარებს. სცენაზე გამოსულმა ჰიუსტონმა "გრემი" ჯენიფერ ჰადსონს გადასცა, რომელმაც ჯილდო R'n'B სტილში გაკეთებული საუკეთესო ალბომისთვის მიიღო. ჯენიფერ ჰადსონი 2004 წელს რეალითი-შოუს American Idol-ის გამირი, ხოლო 2007 წელს პრემია "ოსკარის" ლაურეატი (საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლისთვის ფილმში "ოცნების გო-

გონები") გახლდათ. გარდა წარმატებებისა, მას რთული ცხოვრება ხვდა წილად. 2008 წელს მას დედა, ძმა და ძმისშვილი გარდაეცვალა. თითოეული მისი სცენაზე გამოსვლა საზოგადოების თვალში პირადი სიმამაცისა და გამბედაობის ნიმუშია. წლის სიმღერად ბრიტანული ჯგუფის Coldplay-ს კომპოზიცია - Viva la Vida დასახელდა. კატეგორიაში საუკეთესო ახალი მომღერალი - "გრემი" 20 წლის ლონდონელმა შემსრულებელმა ადელმა მიიღო. გარდა აღნიშნულისა, ადელს პრემია საუკეთესო ვოკალური პოპ-შემსრულებლის კატეგორიაშიც მიენიჭა. წლის ჩანაწერისთვის ჯილდო Led Zeppelin-ის წევრმა რობერტ პლანტმა და ამერიკელმა მევიოლინემ და მომღერალმა ელისონ კრაუსმა, კომპოზიციისთვის - Please Read the Letter მიიღეს. ელისონ კრაუსი უკანასკნელი ბრიტანელი მუსიკოსი იყო, რომელიც წლის სიმღერის ნომინაციის მოკლე-სიაში მოხვდა. ამავე წყვილმა "გრემი" პრესტიჟულ ნომინაციაში - "წლის ალბომი" მიიღო. გარდა საუკეთესო სიმღერისა, Coldplay-მ კიდევ ორი "გრემი" მიიღო - როგორც საუკეთესო შემსრუ-



ლებლემბა და საუკეთესო როკ-ალბომის ავტორებმა. ორი პრემიით დაჯილდოვდა Radiohead-ც. ალბომი - In Rainbows საუკეთესო ალტერნატიულ ალბომად დაასახელეს. ჯილდო გადაეცათ ასევე დიზაინერებს, რომლებმაც Radiohead-ის სპეციალურად გამოშვებული ალ-

ბომის გარეკანი დაამზადეს. ამერიკული ხმისჩამწერი აკადემიის მუსიკალური პრემია "გრემი" - 1958 წლიდან ყოველწლიურად გაიცემა და თანამედროვე მუსიკის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულ ჯილდოდ ითვლება. "გრემის" ტრადიციულად ძირითადი ნომინაციე-

ბია: წლის ჩანაწერი, წლის ალბომი, წლის სიმღერა და საუკეთესო ახალი შემსრულებელი. მთლიანობაში პრემია, დაახლოებით ას ნომინაციაში გაიცემა. უკანასკნელი ხუთი წლის განმავლობაში ცერემონია ლოს ანჯელესის სტეპლს-ცენტრში (Staples Center) იმართება.

ერთი ნაბიჯი კიბიდან

ვეფხისტყაოსანი, რომელსაც ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია მოგვითხრობენ

თამარ ჯიჰანაშვილიძე


უკვე გამოიცა კიდევ ერთი წიგნი სერიიდან "ჩვენ და ვეფხისტყაოსანი", რომელიც საგამომცემლო ჯგუფ "ჯეოექს ფაბლიშინგისა" და სტამბა "სეზანის" ერთობლივი პროექტია.

ამჯერად "ვეფხისტყაოსანი" ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია მოგვითხრობენ. მათი წიგნის პრეზენტაცია არტ-კაფე "ქარავენში" შედგა, რომელსაც ლიცეუმებისა და კერძო სკოლების დირექტორები, სამეურვეო საბჭოს წევრები და განათლების სამინისტროს რესურს ცენტრის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. გამოცემის მთავარი რედაქტორია ლევან ლვინჯილია, იდეის ავტორი - მანანა კარტოზია, დიზაინერი - გიორგი ბოხუა. მათი სურვილია ამ გამოცემით სკოლები და ინტერესონ.

ამ პროექტის მიზანია ქართველი ხალხის უპირველესი წიგნის, უპირველესი განძის პოპულარიზაცია და მის მიმართ მკითხველი საზოგადოების გააზრებული დამოკიდებულების ჩამოყალიბება.

ამჯერად შემოგთავაზებთ "ვეფხისტყაოსანის" პროზაულ ვერსიებს. ამ სერიის უპირველესი წიგნი იქნება თვით "ვეფხისტყაოსანი", საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის "ვეფხისტყაოსანის" ტექსტის დამდგენი კომისიის მიერ პოემის 2009 წლისათვის შემუშავებული ვარიანტი. პროექტის ყველაზე კონცეპტუალურ განაცხადად მიგვაჩნია მეორე წიგნი: "მოგვითხრობთ ვეფხისტყაოსანზე", რომელშიც შევეცადეთ წარმოგვედგინა მრავალგვარი ინფორმაცია მკითხველი საზოგადოების დასაინტერესებლად. სამი წლის განმავლობაში თავი მოუყარეთ ორასამდე ავტორის სამეცნიერო, მხატვრულ, საგანმანათლებლო თუ ვიზუალურ მასალას. ასევე, შთამბეჭდავი იქნება ქეთი მატაბელის მიერ დაფოლიანტებული მამუკა თავაქარაშვილისეული მინიატურები. თუმცა, ჩვენი პირველი განაცხადა "ვეფხისტყაოსანის მოგვითხრობენ ავთანდილ არაბული და მამია მალაზონია", რადგან გვჯერა, XXI საუკუნის მკითხველს შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის წასაკითხად განწყობა და შემზადება სჭირდება. ჩვენი მიზანია ჩვენი საზოგადოების მიმართება "ვეფხისტყაოსანთან" გააზრებული გახდეს", - გვითხრა პროექტის ხელმძღვანელმა შველე შვერდაშვილმა, რომელმაც ამ წიგნის გამოცემამდე ლევან ვეფხისტყაოსანისა და მამუკა ცეცხლაძის მიერ მოთხრობილი შოთა რუსთაველის "ვეფხისტყაოსნის" გამოცემაზე იხიმა. ეს წიგნი "კიჩად" მონათლეს. ამის შესახებ ვაზეთ [24 საათის] რამდენიმე ნომერში ვწერდით. ახალ გამოცემაზე სასაუბროდ კი, "ვეფხისტყაოსნის" მთხრობელ ავთანდილ არაბულს გავესაუბრეთ.

ავთანდილ არაბული - დაიბადა 1953 წელს. 1971-76 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, 1976-1980 წლებში - ენათმეცნიერების ინსტიტუტის ასპირანტურაში; სპეციალობა - ენათმეცნიერი. 1980-1988 - მეცნიერ-თანამშრომელი, არნოლდ ჩიქოვას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი; 1988-2008 - განყოფილების გამგე, ლექსიკოლოგიის განყოფილება, ენათმეცნიერების ინსტიტუტი. 2007 წლიდან ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; 1992-2006 - ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბი-



მამია მალაზონიას ილუსტრაციები.



ავთანდილ არაბული.

ლისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ახალი ქართული ენის კათედრა (2005-2006 - ამ კათედრის გამგე). ავტორია 100-ზე მეტი ნაშრომისა, მათ შორის: მონოგრაფიების, საუნივერსიტეტო თუ სასკოლო სახელმძღვანელოების.

- კლასიკურ ლიტერატურამდე მკითხველი უცნაური ფორმით მიგვავთ...

- ეს გამოცდილი ფორმაა, როდესაც დამატებითი საშუალებებით, იქნება ეს გარკვეული სახის ანოტაცია, ნახატები თუ სპექტაკლი, ბიძგს ვაძლევთ მკითხველს კლასიკური ნაწარმოები ორიგინალში წაკითხოს... რაბან სპექტაკლი ვახსენე, ამასთან დაკავშირებით ვეცხეთ, რომ პირადად მე ინტერესით ველოდებოდი რობერტ სტურუას მიერ "ვეფხისტყაოსნის" სცენაზე განხორციელებას... ამ ნაწარმოების დადგმის იდეამ იმხელა აჟიოტაჟი გამოიწვია, რომ ხომ წარმოგდგენიათ რა მოჰყვებოდა მის გაცოცხლებას ან რამდენი ადამიანი მიუბრუნდებოდა "ვეფხისტყაოსანს"... მას თუნდაც ცუდი კითხვით ვერაფერს დავკლებთ, იმას კი შევძენთ, რომ მკითხველს მისდამი ინტერესს გავუღვიძებთ და

შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი მთავარი მიზანაც ეს არის.

- ამ გამოცემამდე, მკითხველი ლევან ვეფხისტყაოსანის მიერ მოთხრობილ ვეფხისტყაოსანს გაეცნო. როგორც მთხრობელი, რითი განსხვავდებით ამ ავტორისგან?

- ჩემი და ლევან გველესიანის მიდგომა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება. მე უფრო კლასიკურ სტილს ვემხრობი. მართალია, თავისუფალი ინტერპრეტაციები და გადასვლები მეც მაქვს, მაგრამ ის, რაც უშუალოდ ამ ნაწარმოების შინაარსიდან გამომდინარეობს გარკვეულ ჩარჩოებს არ სცდება და იდეის გახსნას ემსახურება. ბ-ნი ლევანის მიდგომა კი "კიჩურია" და ის ძალიან თავისუფალია თხრობაში. თუმცა, ორივე მცდელობა სწორედ იმ საქმეს ემსახურება, რასაც "ვეფხისტყაოსნის" წაკითხვა და ამ პოემით მკითხველის დაინტერესება ჰქვია.

"ვეფხისტყაოსანთან" მიმართებაში, თხრობის მეთოდს ხშირად ვიყენებდი სკოლის მოსწავლეებთან და სტუდენტებთან... ხალხური "ვეფხისტყაოსანიც" ხომ ასე შეიქმნა... "ვეფხისტყაოსანი", რომელიც

სხვათაშორის ზეპირად იცოდნენ, გვერდით ედოთ, მაგრამ იმისთვის რომ ამ წიგნით, მასში აღწერილი ამბავით უბრალო ადამიანები, ახალგაზრდები დაინტერესდნენ, მას უბრალო, სადა ენით მოუთხრობდნენ. "ვეფხისტყაოსანის" ხალხურ მონათხრობში გვხვდება ადგილები, მაგალითად ავთანდილის მიერ მწვადის შეწვის ამბავი, რომლებიც განგებ არის გაძლიერებული, ზოგიერთ ადგილი კი - გამოტოვებულია...

- როგორ ჩაერთოთ ამ პროექტში?

- ეს ქ-ნი მანანა კარტოზიას დამსახურებაა. მასთან შეხვედრისას ამ პროექტის იდეას გავაცანი. მე სასტიკი წინააღმდეგი ვიყავი "ვეფხისტყაოსნის" დედანის თარგმნისა, თუმცა მან გარკვეული მონაკვეთებისა თუ თავების თავისუფალ თხრობაზე მაინც დამითანხმა... "ვეფხისტყაოსანმა" ერთი თუ დავანყებინა საქმე, ბოლომდე ჩავითრევს - ის დიდი ოკეანეა, რომელშიც თუ შეხვედი, გამოსვლა ძალიან ჭირს...

- ვისთვის არის ეს წიგნი უპირველესად განკუთვნილი?

- ვფიქრობ, რომ მეშვიდე, მერვე, მეცხრე კლასის მოსწავლეებისთვის და არა მხოლოდ მათთვის... "ვეფხისტყაოსანში" რამდენიმე პარალელურ ხაზია, რომელთა ერთმანეთთან დაკავშირება მოსწავლეებს უჭირთ... ჩემთან რუსთაველის დიდი პოემა სამი თავისგან შედგება, პირველი თავი ეთმობა ავთანდილს, ვიდრე ტარიელის ამბის დაწყებამდე, მომდევნო თავი - ტარიელს, ბოლო კი - ბოროტის ძღვევის ამბავი; იდეური ჯაჭვია გაკეთებული. პირველ ორ თავში 5-5 ქვეთავია, 1 თავში გაერთიანებულია: 1. თინათინის გამეფება; 2. როსტევეანის დაღრეჯა და ნიძლავი; 3. ნადირობა და უცხო მოყმის ნახვა; 4. დიდი სამიჯნურო დაგალები; 5. ავთანდილის ყარაბაგის სამი წელი და თავდადების საფასური; II თავში - 1. მეფის ასულთან გამოჯნურება; ხატაეთის ომი; 3. მიჯნურთა თავზე შავი ღრუბლები შეიყარა; 4. ფრიდონის გაცნობა; 5. ტარიელი ფრიდონისგან მოულოდნელ ამბავს გაიგებს; III თავში კი, 8 ქვეთავია: 1. ავთანდილის დაბრუნება სამშობლოში; 2. მეფისაგან დათხოვნის უშედეგო მცდელობა

და უნიკალური ანდერძი; 3. მეგობრების მეორე შეხვედრა; 4. ავთანდილის სტუმრობა ფრიდონთან; 5. ეს უცნაური ვაჭართა ქვეყანა; 6. ნესტანის თავგადასავალი გულანშაროში; 7. ავთანდილის დაბრუნება დევთა ქვაბში - ტარიელთან; 8. ქაჯეთის ციხის დამხობა; ანუ თავების რაოდენობა შემცირებულია. ესეც თავისუფალი მიდგომაა. თუმცა, მკითხველის ყურადღება, ამ შემთხვევაშიც, ამბის განვითარებაზეა კონცენტრირებული. ეს დიდი ტექსტი არ გახლავთ და "ვეფხისტყაოსნის" გაცნობის სურვილს ყველას გაუჩენს. რატომ? თუმცა იმის გამო, რომ აქ რაღაც ადგილები გამოტოვებულია, რათა მკითხველმა ორიგინალში წაკითხოს. მაგალითად: "ვეფხისტყაოსნის" სიუჟეტი ქაჯეთის ციხის აღებით მთავრდება, მიუხედავად იმისა, რომ ამის შემდეგ ბევრი რამ ხდება. ამაზე მე ასე ვწერ: "მის შემდეგ კიდევ ბევრი რამ მოხდა: - ფრიდონის 160 გადარჩენილი მეომრიდან 60 ქაჯეთის ციხის მცველად დატოვეს, ხოლო საგანძური სამი ათასი ჯორ-აქლემით წამოიღეს. - ზღვათა სამეფოს ესტუმრნენ და ფატმანი ერთგულებისთვის დიდად დაასაჩუქრეს. - ფრიდონმა ტარიელსა და ნესტანს უმასპინძლა და ქორწილი გააუხადა. - არაბეთს ეწვივნენ და ავთანდილი და თინათინი დაქორწინეს. - ინდოეთში წავიდნენ და რამაზ მეფეს კიდევ ერთხელ ასწავლეს ჭკუა. დაბოლოს, თურმე ერთობით ისეთი ქვეყნები ჩამოაყალიბეს, რომ მათში ადამის მოდგმის ოცნება ყოფილიყო ახდენილი: "შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს". მაგრამ სამიჯნურო განსაცდელის ამბავი, ანუ პოემა, მაინც იქ დასრულდა, სადაც ქაჯეთის ციხე დემხო და ამაღლებული სიყვარული მეგობრობის მაღლით იქნა გველშაპის ტყვეობიდან გამოხსნილი... და რის გამოც ითქვა ყველა დროისა და ეპოქის უკვდავი სიტყვები: "ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია!"..."

- ამ სერიაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს გამოცემათა მხატვრულ გაფორმებას. მხატვარ მამია მალაზონიას ნამუშევრები, მართლაც, საინტერესოა როგორც ფორმით, ასევე კომპოზიციათა შინაარსით. ეს ნამუშევრები მან 1997-98 წლებში, შერეულ მასალაში შეასრულა და ვეფხისტყაოსნის დასასურათებისთვის მას რუსთაველის პრემიის ლაურეატობის ნოდება მიენიჭა. თქვენ რას იტყვით მასზე, როგორც ამ გამოცემის თანაავტორსა და მთხრობელზე?

- ჩემი და ბ-ნი მამიას თხრობა განსხვავებულია. ამ "ვეფხისტყაოსანს" თანამდროვე მხატვრობის ენით გვიყვება, მე კი მას უფრო კლასიკურად ვკითხულობ. ბ-ნი მამიას ნამუშევრები ძალიან საინტერესოა, თუმცა იმიტომ, რომ მის ერთ კომპოზიციაში "ვეფხისტყაოსნის" რამდენიმე სიუჟეტი, ნაწყვეტი გაერთიანებული. თანამედროვე პედაგოგიკაში ნახატი ხომ ერთ-ერთ ტექსტად ითვლება. ასე რომ, ეს გამოცემა ამ თვალსაზრისითაც საინტერესოა და ვფიქრობ, ამ უკვდავი ნაწარმოების ახალი ფორმით გაცოცხლებაში, ახალგაზრდების მისდამი დაინტერესებაში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

სანამ 2016 წელს "ვეფხისტყაოსნის" გამოცემის საიუბილეო თარიღს, 2016 წელს კი - შოთა რუსთაველის 850 წლისთავს ვიზიმივთ, "ჯეოექსფაბლიშინგი" ვიპირდება, რომ "ვეფხისტყაოსანთან" კიდევ არაერთი გამოცემით დაგვაბრუნებს.

სპორტი



ექტორ რაულ კუპერი: "ამჯერად მხოლოდ

სამი კალისტოსის ვიზრძოლებით"



ქართველი ფეხბურთელები "კორკ პარკზე" ითამაშებენ.



მიხაილ ახიჯილი დუბლინიდან

გუშინ დუბლინში გამოიდარა - მზე გამოვიდა და ჰაერიც შუადღეზე ლამის 15 გრადუსამდე გათბა. დიდი იმედი მაქვს, რომ დღეს, საღამოს თბილისის დროით 23:45 საათზე ფეხბურთისთვის შესაფერისი ამინდი იქნება. მატჩი სტადიონ "კორკ პარკზე" გაიმართება, რომელიც აქ ირლანდიური ფეხბურთის მექადაა მიჩნეული. ჩვენთვის, ქართველებისთვის და ალბათ მთელი დანარჩენი მსოფლიოსთვის ირლანდიური ფეხბურთი საკმაოდ ახალი და უცხო ხილია. ეს არის ფეხბურთის და რაგბის რაღაც უცნაური ნაზავი. მატჩი საფეხბურთო სტანდარტების მოედანზე იმართება, მაგრამ ორმაგი კარი აქვს: ჩვეულებრივი ფეხბურთის კარი, რომლის ძელებსაც დამატებული აქვს რაგბის ბოძები. ქვემოთა კარს მეკარე იცავს, რაგბის დანამატი დაუცველია. მოთამაშეს ბურთის ფლობა სხეულის ნებისმიერი ნაწილით შეუძლია. ფეხბურთის კარში გატანილი გოლი სამ ქულად ითვლება, რაგბის კარში - ერთად. ასე დანერგულ იქნა იმიტომ ვხსნი, რომ სპორტის ეს სახეობა აქ, ამ კუნძულზე ზეპოპულარულია და ვერც რაგბი, მით უმეტეს, ვერც ფეხბურთი, მასთან ახლოსაც ვერ მივა. ეს სტადიონი სპეციალურად ამ ირლანდიური ფეხბურთისთვის აშენდა და მასზე სხვა სპორტის სახეობებს საერთოდ არ უშვებდნენ. რაგბის და ფეხბურთის ადგილობრივ ასოციაციებს დიდი ბრძოლის გადატანა დასჭირდათ იმისთვის, რომ "კორკ პარკზე" თამაშის უფლება მოეპოვებინათ. თან, ეს პატივი არც თუ დიდი ხნის წინ დაიმსახურეს. ირლანდიის და საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდების წინა დუბლინური შეხვედრა, რომელიც 2003 წელს ჩატარდა, "ლანზდაუნ როუდზე" გაიმართა. ეს სტადიონი

ნი სულ რაღაც ორმოცი ათას ქომავს იტევს. "კორკ პარკზე" კი, რომელიც "ლენზდაუნ როუდთან" შედარებით გიგანტია, ირლანდიის საფეხბურთო ნაკრებმა მასზე პირველად სულ რაღაც წელიწადნახევრის წინ, 2007 წელს ითამაშა და მარცხი განიცადა. "კორკ პარკი", ასე ვთქვათ, სხვადასხვა ტევადობისაა, მისი მენეჯერების სურვილის მიხედვით. კაპიტალურად მხოლოდ სამი ტრიბუნაა აშენებული, რომლებიც ერთობლიობაში 70 ათას ქომავს იტევენ. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მეოთხე, ჩრდილოეთის ტრიბუნის დამატებაც, რომლის ოცობის დაშლილი მეტალოკონსტრუქციებიც ცალკეა შენახული. ეს ტრიბუნა დამატებით კიდევ თორმეტი ათას მაყურებელს იტევს. თუმცა, დღეს ალბათ ამ ტრიბუნის საჭიროება არ იქნება. ირლანდიური ტაბლოიდის, "სანის" სპორტულმა ჟურნალისტმა მითხრა, რომ ბილეთების რეალიზაცია ძალიან ცუდი ტემპით მიმდინარეობს. აქაც, ისევე როგორც დანარჩენ მსოფლიოში, ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს და ბილეთში სამოციდან ოთხმოცდაათ ევრომდე გადახდა, სწორედ ამ ფარგლებში მერყეობს ირლანდია-საქართველოს დღევანდელი მატჩის ბილეთის ფასი, რიგით ირლანდიელებს საკმაოდ ეძნელებათ. ეს კარგი ინფორმაციაა, რადგან ირლანდიის ნაკრების ერთ-ერთი უმთავრესი კოზირი სწორედ სავსე და ქომავობის ჟინით დამუხტული ტრიბუნებია.

მატჩზე დასწრებას ქართველი ქომავებიც გეგმავენ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ დუბლინის ქართული მრევლის სულიერ მოძღვარს, დეკანოზ მალხაზ კუმელაშვილს ასი ბილეთი გადასცა, რომელსაც მოძღვარი ადგილობრივ ქართველობაში გაავრცელებს. ამას გარდა, როგორც ირლანდიის სხვა ქალაქებიდან, ისე მთელი ბრიტანეთიდან რამდენიმე ასეული ქართველი აპირებს დუბლინში ჩამოსვლას და მატჩზე დასწრებას.

დროა ალბათ, საქართველოს ნაკრებზეც ვთქვა. ჩვენი გუნდი კიდევ ორ დანაკლის ვერ გადაურჩა. საბოლოოდ გამოირიცხა ლევან ყენიას თამაში, რომელსაც კუნთი აქვს დაჭიმული. შეკრებაზე ვერ ჩამოვიდა გიორგი შაშიაშვილიც, რაც იმის გათვალისწინებით, რომ ანალოგიური მიზეზით აქ არ არის ლამაზაურობა, ექტორ რაულ კუპერს დაცვის ხაზში დამატებით პრობლემებს უქმნის. სასიხარულო კი ის, არის, რომ ტკივილი თითქმის არ აწუხებს ნაკრების კაპიტანს და საქართველოს ნაკრების ალბათ ყველაზე კვალიფიციურ და ტიტულოვან ფეხბურთელს, კახა კალაძეს, რომელიც, დიდი შანსია, რომ დღეს თავად გაუძღვეს მწვანე მინდორზე "ხუთჯვაროსნებს". გუშინ დილას კალაძე საუზმის მერე ვნახე სასტუმროში და ინტერვიუ ჩამოვართვი.

- მუხლის ტკივილი და ძველი ტრავმა განუხებდა. ახლა როგორ ხარ და რამდენად დიდია შანსი, რომ ხვალ ითამაშო?

- თითქოს არა მიშავს. ნაკრებთან ერთად ჩვეულებრივ ვვარჯიშობ და ტკივილი თითქმის არ მანუხებს. დიდი იმედი მაქვს, რომ ხვალამდე არაფერი შეიძლება. ძალიან მინდა, რომ ვითამაშო.

- "მილანის" ბოლო შეხვედრაში, რომელიც შენმა გუნდმა "რეჯინასთან" ფრედ დაასრულა, მოედანზე არ გამოჩენილხარ. ეს სულ სამი დღის წინ იყო. ტრავმა განუხებდა თუ ანჩელოტიმ არ გარისკა?

- არა, ტკივილები არ მქონდა და მზად ვიყავი. ჩემი უთამაშებლობა მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო.

- ტრადიციულად, რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ გვეყოლება. ნაკრებში ბევრი ახალბედა ფეხბურთელია მოწვეული, რომლებსაც გამოცდილება აკლიათ. ასეთ პირობებში თქვენზე, ვეტერა-

ნებზე დიდი დატვირთვა მოდის, როგორც ფიზიკური, ისე ფსიქოლოგიური თვალსაზრისით...

- გეთანხმები, თან ვეტერანებიც, სულ რამდენიმე ვართ - მე, იაშკა, კობი, ხიზანა. ბევრი ახალგაზრდა ფეხბურთელი გვყავს, თუმცა ყველაფერი უნდა ვილონოთ, რომ მათი გამოუცდელობა გადამწყვეტი და ხელისშემშლელი ფაქტორი არ გამოდგეს. სანერტენელი პროცესი ნორმალურად მიმდინარეობს, გუნდში კარგი ფსიქოლოგიური ვითარებაა. მწვრთნელები, განსაკუთრებით კი კუპერი ყველაფერს აკეთებენ, რომ გუნდი ხვალინდელ თამაშზე მაქსიმალურად მომზადებული, მოტივირებული და საბრძოლველად შემართული მივიდეს. იმედი მაქვს, რომ ასეც მოხდება.

- პირველ შეხვედრაში მაინცში, რომელიც ექვსი თვის წინ გაიმართა, 1:2 დავამარცხდით. შენი აზრით, რამ განაპირობა ეს წაგება?

- რამდენიმე ფაქტორი დავითხვე ერთმანეთს. მთავარი ალბათ დაცვაში დაშვებული უხეში შეცდომები იყო. ამას გარდა, გახსოვთ, რომ ეს მატჩი თბილისში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ ფიფამ მაინცში გადაიტანა. კუპერიც ახალი დანიშნული იყო და გუნდს კარგად არ იცნობდა. იყო სხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორებიც.

- ირლანდიის ნაკრების ძლიერ მხარედ რა მიგაჩნია?

- ფიზიკურ, ძალისმიერ ფეხბურთის თამაშობს და სათამაშო დისციპლინას ძალიან მკაცრად იცავს. ჰყავს მაღალი კლასის მწვრთნელი. ჯოვანი ტრაპატონის ალბათ არ სჭირდება ზედმეტი წარდგენა. იგი თანამედროვე ფეხბურთში ერთ-ერთ საუკეთესო სტრატეგად და ტაქტიკოსად მიჩნეული.

- ირლანდიელთა სისუსტედ რას მიიჩნევ?

- დაცვის ხაზი არც თუ ძლიერი ჰყავთ და სწორად, სწრაფად და აგ-

რესიულად თამაშის შემთხვევაში ამ გუნდისთვის გოლის გატანა გადაუჭრელი პრობლემა არაა. სულ იმას ვფიქრობ, რომ მოვიდა დრო, როცა საქართველოს ნაკრებმა თუნდაც ერთ კონკრეტულ მატჩში შესაძლებლობების მაქსიმუმი უნდა გამოავლინოს და უნდა მოვიგოთ. მთელ გუნდს გვაქვს იმედი, რომ ეს კონკრეტული მატჩი სწორედ ხვალ იქნება.

თავისი გუნდის კაპიტნის იმედებს იზიარებს ექტორ რაულ კუპერიც, რომელმაც გუშინ სასტუმრო "ჰილტონში" მატჩისწინა პრესკონფერენცია გამართა. არგენტინელი სპეციალისტის ბრიფინგს ძირითადად ადგილობრივი - ირლანდიური მედიის წარმომადგენლები დაესწრნენ.

ექტორ რაულ კუპერი: "ჩვენ ვნახეთ პოლონეთი-ირლანდიის ამხანაგური მატჩის ვიდეოჩანაწერი და ირლანდიელთა სუსტ მხარეებზე გარკვეული წარმოდგენა შეგვექმნა. როგორ ვაპირებთ ამ სუსტი მხარეების გამოყენებას? რომ ვიცოდეთ, რომ თქვენ ამას არ დანერგთ, მაშინ დავიხაზავდით და გარკვევდით რას ვაპირებ, მაგრამ ამას, რა თქმა უნდა, არ გავაკეთებ. შემადგენლობას კი თამაშის წინ დავასახელებ. რაც შეეხება ირლანდიასთან გამართულ პირველ შეხვედრას, ჩვენმა გუნდმა ის მატჩი სუსტად ჩაატარა. არ იყო საკმარისი სათამაშო დისციპლინა და შედეგად დავმარცხდით. მას შემდეგ ნაკრებმა პროგრესი განიცადა. კვიპროსთან და ბულგარეთთან გამართულმა შეხვედრებმა დამარწმუნა, რომ ჩვენს გუნდს შეუძლია მოგებაზე თამაში, ამიტომ, ამჯერად მხოლოდ 3 ქულისთვის ვიბრძოლებთ და უნდა გითხრათ, რომ ამის რეალური საფუძველიც გვაქვს".

ირლანდიურ რეპორტაჟებს წარმოგიდგენთ "ოლიმპიური ვარსკვლავი"

The New York Times offers a "window" to the world



The New York Times & 24 Saati - the global dimension in Georgian press

- Every Tuesday, from 20th of January, the leader of the world press The New York Times with 24 Saati.
- The New York Times selects the articles each week specially for Georgian Reader.
- The best from The New York Times.

ნიუ-იორკ თაიმსის საერთაშორისო ყოველკვირეული გამოცემა - International Weekly, წარმოადგენს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო სამსახურის მიერ კვირის განმავლობაში გამოქვეყნებული მასალებიდან შერჩეული საუკეთესო სტატიების, ფოტოების, გრაფიკის ნაკრებს; იგი მზადდება ნიუ-იორკ თაიმსის რედაქტორებისა და დიზაინერების მიერ, კაბადონდება ნიუ-იორკში და იგზავნება დასაბეჭდად საქართველოში. ყოველკვირეული ჩანართი სპეციალურად მზადდება 24 საათისთვის, ისევე, როგორც ფრანგული ლე მონდისთვის, ესპანური ელ პაისისთვის, გერმანული შიუდ დოიჩე ცაიტუნგისთვის, ბრიტანული თბსერვერისთვის და ა.შ.

24 საათი 2009 წლის იანვრიდან არის ნიუ-იორკ თაიმსის კორპორატიული პარტნიორი და უფლება აქვს გამოიყენოს ნიუ-იორკ თაიმსის საინფორმაციო, ფოტო და გრაფიკული ბაზა.

A weekly international edition of "The New York Times" - "International Weekly" is a collection of the best articles, photos and graphics selected by "The New York Times" information service out of all materials published during the whole week. It is prepared by "The New York Times" editors and designers, imposed in New York City and sent to Georgia for printing. A weekly insert is specially prepared for "24 Saati" newspaper as well as for French "Le Monde", Spanish "El Pais", German "Sueddeutsche Zeitung", British "Observer", etc.

From January 2009, "24 Saati" newspaper is a corporate partner of "The New York Times" and enjoys the right to use information, photo and graphic base of "The New York Times".



AFP, 2009

სამეფო რბოლათა 2009 წლის სეზონი 29 მარტს ავსტრალიის დიდი პრიზით აიღებს სტარტს. ჩემპიონატის განახლებამდე 43 დღეა, რომელსაც საჭინიბოები საკუთარი ბოლიდების გასაუმჯობესებლად იყენებენ. ამჟამად ტესტირებები ხერესში, ესპანეთში მიმდინარეობს.

ავსტრალიური გუნდი რედ ბული იქადნება, ჩემპიონატში საპრიზო ადგილისთვის ვიბრძობლებთო, მანამდე კი ხერესის ტრასაზე აშალაშინებენ საკუთარ F1-ს. პირველი დღის ტესტირებით კამყფილი ყოფილა ავსტრალიური საჭინიბოს ხელმძღვანელი კრისტიან ჰორნერი. ნაწვიმარ ტრასაზე რომ ბოლიდს მიაგვლევებს რედ ბულის გერმანელი მესაჭე სებასტიან ფეტელია. გერმანელს ფეხდაფეხ მიყვება ტორო როსოს შვეიცარიელი მრბოლი სებასტიან ბუემი. იტალიური საჭინიბოც იმედის თვალით შეჰყურებს კარს მომდგარ სეზონს.

თვალის მიკროქირურგიის

ჯ ა ვ რ ი შ ვ ი ლ ი ს

კლინიკა

" ო ფ თ ა ლ მ ი ჯ ი "

ერთადერთი კლინიკა 8 ფილიალით

და ერთი მოქრავი საოპერაციო

ბლოკით

SLT-ლაზერი

გლაუკომის ქირურგიაში

ოფთალმოქირურგიაში

ტექნიკის უკანასკნელი მიღწევა

ტელეფონი: 54 53 53; 30 10 80

გააზრავნათ სმს ჯეოსელიდან , მაგთიდან , ბილინიდან ნომერზე - 30-30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს. ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30-30 და ფონდ ივენანას ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.

შეამოგვიერთდით, ერთად დავეუზრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!

ფონდი ივენანა
გაზეთი 24 საათი



თვითმსვლილი:
BMC PRO 935 FTE.
8X4

მინოდების ვადა
1
დღე

BMC

ტექნიკის ტიპი: ბატონოვარკი
მწარმოებელი: BMC
მოდელი: BMC PRO 935 FTE
მოცულობა: 10 მ³
ძრავი: Cummins C 350-20 (Euro 2)
Turbo Intercooler
სიმძლავრე: 350 სხ.დ.
ბადასამართა კოლოფი: ZF 16 S
ბატონოვარკი დანადგარი: LIEBHERR
ბარანტი: 1 წელი
მინოდების ვადა: 1 დღე
ანგარიშსწორება: 3-5 წლიანი ლიზინგი



TEGETA TRUCK & BUS LTD

ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მ-12 კმ.
☎ 244-744, ☎ 899 55-44-73, ☎ 244-744 (1219)

Change in the statement on the tender holding

In The Open Tender Announced On February 10, 2009 In The Newspaper "24 Hours" Regarding to the state procurement of elevators by the Staff of Parliament of Georgia, were made the following changes:

1. Staff of Parliament of Georgia announces a tender on the state procurement of one freight elevator and six (6) passenger elevators (including delivery, installment, adjustment and dismount of existing ones) and invites all interested individuals to participate in it.

ბ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

შპს ქცია აცხადებს, რომ მომზადებულია მისი სანარმოო ობიექტის - ასვალტობეტონის ქარხნის დაგეგმვა მილ საქმიანობასთან დაკავშირებული გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტაცია.

დანიტერესებულ პირებს შეუძლიათ გაეცნონ აღნიშნულ დოკუმენტაციას შემდეგ მისამართზე:

- მარნეულის რაიონი, სოფელი არაფლო და
- გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ლიცენზირებისა და ნებართვების დეპარტამენტში (გულუას ქ. №6)

საჯარო განხილვა მოენყოლა მარნეულის რაიონში, სოფელი არაფლო, 2009 წლის 7 აპრილს, 14.00 საათზე. გთხოვთ, წერილობითი შენიშვნები და კომენტარები ჩააბაროთ შპს ქცია -ს ადმინისტრაციას მისამართზე: მარნეულის რაიონი, სოფელი არაფლო.

შპს ქცია -ს ადმინისტრაცია

საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაცია „ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭო“ (ნლს) ახორციელებს დევნილთა კოლექტიური ცენტრების რეაბილიტაციას ქალაქ ქუთაისში. ამასთან დაკავშირებით ორგანიზაცია აცხადებს ღია ტენდერს სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოებაზე ყველა დანიტერესებული პირისათვის.

სატენდერო პირობები

ორგანიზაცია, რომელსაც სურვილი აქვს მონაწილეობა მიიღოს ტენდერში, ვალდებულია წარმოადგინოს შემდეგი სახის საკვალიფიკაციო მონაცემები:

1. სარეგისტრაციო დოკუმენტები და ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.
2. საგადასახადო ინსპექციის მიერ გაცემული დამატებითი ღირებულების გადასახადის (დღგ) გადამხდელის სარეგისტრაციო სერტიფიკატი თავისი საიდენტიფიკაციო ნომრით.
3. ინფორმაცია მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, აქტივებისა და თანამშრომელთა შესახებ.
4. საბანკო რეკვიზიტები (ბანკის დასახელება, კოდი, ანგარიშის ნომერი).
5. ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან დავალიანების არარსებობის შესახებ.
6. სადაზღვევო დოკუმენტაცია.

სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელი იქნება ნორვეგიის ლტოლვილთა საბჭოს (NRC) ქუთაისის ოფისში 2009 წლის 11 თებერვლის 10:00 საათიდან 2009 წლის 12 თებერვლის 17:00 საათამდე მისამართზე: ქ. ქუთაისი, დავითაშვილის მე-2 შესახვევი N 4.

2009 წლის 13 თებერვალს NRC-ის ინჟინრების მიერ ორგანიზებული იქნება სავალდებულო საველე ვიზიტები ობიექტებზე კომპანიების წარმომადგენლებთან ერთად. შეხვედრის ადგილი: ქ. ქუთაისი, დავითაშვილის მე-2 შესახვევი N 4. დილის 10 საათზე.

ზემოთ აღნიშნული დოკუმენტები სატენდერო წინადადებასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნას NRC-ის ქუთაისის ოფისში არაუგვიანეს 17 თებერვლის 17:00 საათამდე. სავალდებულოა, ხარჯთაღრიცხვა მოთავსდეს დაბეჭდილ კონვერტში, რომელიც სხვა სატენდერო დოკუმენტაციასთან ერთად ჩაიდება საერთო დალუქულ კონვერტში.

დალუქული კონვერტის გარეშე საბუთები არ მიიღება.

საკონტაქტო ტელეფონები: 8 (99) 146322

11/02/2009 ბანცხადება ტენდერში ცვლილების შესახებ

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს მიერ 2009 წლის 28 იანვარს გამოცხადებულ ტენდერის შესახებ განცხადებაში შეტანილ იქნას ცვლილება, კერძოდ შესყიდვის ობიექტი ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

ლოტი N1 - სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ბათუმის განყოფილების შენობის მშენებლობა.

ლოტი N2 - სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს დასავლეთ საქართველოს სამმართველოს ბათუმის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები.

სამშენებლო სამუშაოების დასრულების სასურველი ვადა არაუგვიანეს 2009 წლის 30 სექტემბერი.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს შემდეგ მისამართზე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ, სახელმწიფო შესყიდვების ქვეგანყოფილება, T 41-90-10.

სატენდერო კომისია

შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ინფორმაცია „სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ“ დებულების მე-23 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად ვაქვეყნებთ 2009 წელს შესყიდვის მიზნით განხორციელებულ ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით პრეტენდენტთა სიას:

მიმწოდებელი (ერთ პირთან მოლაპარაკება)	საქონლის დასახელება	მთლიანი ღირებულება (ლარი)
შპს „ეკაზარი“	კვების პროდუქტები	176976.25
შპს „ჯი ეს ეი“	კვების პროდუქტები	137777.05
შპს „ფანტასტიკა“	მალაყელიანი ფენსაცმელი	150000.00

მუდმივმოქმედი არბიტრაჟი, დავების განმხილველი ცენტრი“ DDRC-ს სასამართლო


მხარისათვის შეტყობინების მიზნით სხდომის დღის პუბლიკაციის მიზნით DDRC- ის საარბიტრაჟო სასამართლოს წარმოებაშია ს/ს ბანკი რესპუბლიკა“-ს

საარბიტრაჟო პრეტენზია ეკატერინე ენუქიძის მიმართ.

ხსენებული საქმის განხილვის მიზნით სასამართლო სხდომა დანიშნულია 2009 წლის 19 თებერვალს 12:30 საათზე, მუდმივმოქმედ არბიტრაჟ დავების განმხილველ ცენტრში შემდეგ მისამართზე ქ. თბილისი, გამრეკელის (ყოფ. კუტუხოვის) ქ. N19-ში, მე-6 სართულზე.

ხსენებული სხდომის შესახებ შეტყობინებულ იქნას მოპასუხე ეკატერინე ენუქიძე მცხოვრები ქ. თბილისი, ცაბაძის მე-2 კორპ., ბინა 8.

United Nations Development Programme



გაეროს განვითარების პროგრამას "სამოქალაქო რეესტრის რეფორმის ხელშეწყობის" პროექტის ფარგლებში პატივი აქვს

გამოაცხადოს ტენდერი

სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ქუთაისის, გურჯაანის, საგარეჯოს და ახალქალაქის ტერიტორიული სამსახურებში სიგნალიზაციის სისტემის ინსტალაციის შესახებ

წინადადებები წარმოადგინეთ დაბეჭდილი სახით დალუქულ კონვერტებში (ერთი ორიგინალი და სამი ასლი), არაუგვიანეს 2009 წლის 24 თებერვლისა, 17:00-მდე. საჭირო სატენდერო დოკუმენტაციის მიღება შესაძლებელია შემდეგ მისამართზე:

სამოქალაქო რეესტრის რეფორმის პროექტი
ქ. თბილისი - წერეთლის გამზირი № 67ა, მე-6 სართული, ოთახი 608
მ.ბ. ტელეფონი: 895 30 26 42 ან 895 30 26 37

ინფორმაცია ასევე ხელმისაწვდომია ვებ-გვერდებზე: www.undp.org.ge

სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო აცხადებს ტენდერს საშენობლო სამუშაოების შესრულებაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს დაფინანსების წყარო – საკუთარი შემოსავლები

ლოტი №1 – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტოს აღმოსავლეთ საქართველოს სამმართველოს ქ. ახალციხის განყოფილების მიმდებარე ტერიტორიაზე ავტოდრომის მშენებლობა.

დაწერილობითი ცნობებისათვის მიმართეთ სატენდერო კომისიის აპარატს შემდეგ მისამართზე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო, ტელ: 41-90-10

სამშენებლო სამუშაოების დასრულების სასურველი ვადა არაუგვიანეს 2009 წლის 31 მაისი.

შესყიდვაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი ინფორმაცია სატენდერო კომისიის აპარატში. აგრეთვე გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას მისაკრებლის გადახდამდე.

სატენდერო დოკუმენტაცია ქართულ ენაზე გაიცემა ტენდერში მონაწილეობის მსურველის მიერ გადახდილი სატენდერო მოსაკრებელის 200 (ორასი) ლარის ოდენობის დამატებითი ფასის წარმოდგენის შემდეგ 2009 წლის 11 თებერვლის 10 საათიდან 2009 წლის 2 მარტის 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: თბილისი-წითელი ხიდის გზატკეცილი 21-ე კმ. სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო, სახელმწიფო შესყიდვების ქვეანგელოზობა.

სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

**მიმღები – სსიპ საქართველოს შსს მომსახურების სააგენტო
ანგ. №700003408004974 სს ბანკი „რესპუბლიკა“, კოდი 220101760, ს/კ 205190513**

გადახდის დანიშნულება – სატენდერო მოსაკრებელი, სამშენებლო სამუშაოები

პრეტენდენტმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინოს 2009 წლის 4 მარტის 10 საათიდან 2009 წლის 4 მარტის 14 საათამდე, ხელმოწერილ მისამართზე:

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადებასთან ერთად, დახურულ კონკურტში უნდა წარმოადგინოს შემდეგი საკვალიფიკაციო მონაცემები.

იურიდიულმა პირებმა:

- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
- ცნობა, რომ მის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა. (საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან);
- ცნობა, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება (ცაკოტრება და რეაბილიტაცია) (სასამართლოდან);
- ცნობა რომ არ ხორციელდება რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია (საგადასახადო ინსპექციიდან).

ფიზიკურმა პირებმა:

- ცნობა, მისი ქმედუნარიანობის შესახებ. (ცნობა შესაბამისად უფლებამოსილი დაწესებულებიდან);
- ცნობა, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება (სასამართლოდან);

როგორც ფიზიკურმა, ისე იურიდიულმა პირებმა:

- სატენდერო წინადადება უნდა შეიცავდეს პრეტენდენტის დასახელებას, იურიდიულ მისამართს, ტელეფონ/ფაქსი, საბანკო რეკვიზიტებს, ხელმოწერილ სახელს, გვარს.
- ცნობა შესყიდვაში მონაწილეობის მსურველის ფინანსური მდგომარეობის შესახებ (უნდა იყოს წარმოდგენილი აუდიტის დასკვნა);
- ცნობა მისზე, რომ ბიუჯეტის წინაშე არ გაანინა დაკალიანება (საგადასახადო ინსპექციიდან);
- ინფორმაცია განხორციელებული ანალოგიური სამუშაოების შესახებ;
- ინფორმაცია სამუშაოს შესრულებისათვის საჭირო ძირითადი მანქანა-მექანიზმების, სატრანსპორტო საშუალებებისა და მოწყობილობა-დანადგარების შესახებ, ქვემოთ მოყვანილი ცხრილის შესაბამისად

№	მოწყობილობა-მექანიზმების დასახელება	აღწერილობა, მოდელი, ტიპი, მარკა და ასაკი	რაოდენობა	მდგომარეობა (ახალი, ნახშირი, მოპყვებული)	საკუთარი, იჯარით აღებული (ვისგან), შექნილი იქნება (ვისგან)
1.					
2.					
3.					
.					
.					
.					

შენიშვნა: არარეზიდენტმა ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისად უფლებამოსილი ორგანიზაციიდან ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის ხაზით.

ხელმოწერილი საკვალიფიკაციო მონაცემები ასევე ეხება სუბკონტრაქტორებს მომსახურების გაწევის პროცესში მათი მონაწილეობის შესახებ.

ტენდერში გამოცხადებული იქნება სატენდერო წინადადების უსრულებლადობის საბანკო გარანტია სატენდერო წინადადების 1 %-ის ოდენობით და ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია ხელშეკრულების დირექტორების 2%-ის ოდენობით.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ სატენდერო აპარატს ხელმოწერილ მისამართსა და ტელეფონზე.

აღტერნატიული წინადადებები არ განიხილება.

სატენდერო კომისია

სსიპ იურიდიული დახმარების სამსახური აცხადებს ტენდერს საავტომობილო საწვავის სახელმწიფო შესყიდვისათვის და იწვევს ტენდერში ყველა დაინტერესებულ პირს

შესყიდვის ობიექტია სხვადასხვა სახის საწვავი, შემდეგი მოცულობით:

ლოტი	შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა
1	26000 ლიტრი საწვავი "ვერო რეგულარი"	ავტოსაწვავი "ვერო რეგულარი" ოქტანობა არანაკლებ 93 საწვავის ტალღონები და პლასტიკური ლიმიტირებული ბარათი
	52000 ლიტრი საწვავი "პრემიუმი"	ავტოსაწვავი "პრემიუმი" ოქტანობა არანაკლებ 96 საწვავის ტალღონები და პლასტიკური ლიმიტირებული ბარათი

დაფინანსების წყარო – სახელმწიფო ბიუჯეტი

ტენდერში გამარჯვებულების მიერ აღნიშნული საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს 2009 წლის 31 დეკემბრამდე, ეტაპობრივად, ავტოგასამართ სადგურებზე შემდეგ რეგიონებში: თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი, მცხეთა-მთიანეთი, შიდა ქართლი, იმერეთი, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი და აჭარა; შემსყიდველის მიერ წინასწარ განსაზღვრული საქონლის მოცულობისა და მიწოდების გრაფიკის შესაბამისად, ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

პრეტენდენტმა სატენდერო წინადადება და საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა წარმოადგინოს ქართულ ენაზე, ერთი დახურული კონკურტით (ორ ეგზემპლარად - ერთი ორიგინალი და ერთი ასლი) 2009 წლის 5 მარტს 17:00 საათამდე შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №30, ოთახი №82 (შესასვლელი გრიბოედოვის ქუჩიდან). სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით ხელმოწერილ მისამართზე 2009 წლის 5 მარტს 17:30 საათზე.

დაგვიანებით შემოსულ სატენდერო წინადადებებს სატენდერო კომისია არ განიხილავს და გაუხსნელად უბრუნებს წარმოდგენ პირებს.

ტენდერი ტარდება ერთ ლოტად და გამოვლინდება მხოლოდ ერთი გამარჯვებული.

აღტერნატიული სატენდერო წინადადებები არ განიხილება.

საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებს და ინფორმაციას:

იურიდიული და ფიზიკური პირებისათვის:

1. შესყიდვაში მონაწილეობის მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები);
2. ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, რომ არ მიმდინარეობს იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
3. ცნობა საგადასახადო სამსახურიდან, რომ ბიუჯეტის წინაშე არ ერიცხება დაკალიანება;
4. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

ტენდერში მონაწილე პირი გაიფლის საკვალიფიკაციო შერჩევას, თუ წარმოადგენს ყველა საკვალიფიკაციო მონაცემს და ისინი არ აღმოჩნდება ედობი.

ტენდერში მონაწილეობის მსურველ პირებს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე უფლება აქვთ გაეცნონ სატენდერო დოკუმენტაციას შემსყიდველ ორგანიზაციაში.

დაინტერესებულ პირებს სატენდერო დოკუმენტაციის გატანა შეუძლიათ სატენდერო მოსაკრებლის (200 ლარი) გადახდის შემდეგ მისამართზე: რუსთაველის გამზ №30, ოთახი №82, 2009 წლის 10 თებერვლიდან 4 მარტის 17:00 საათამდე.

სატენდერო მოსაკრებლის – 200 ლარის გადახდა შესაძლებელია შემდეგ ანგარიშზე: სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, ანგარიში №200122900; სახაზინო კოდი №302003174.

დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ საკონტაქტო პირებს: მიხეილ ჯახუა და ლაშა კოჟორიძე, ტელ: 988493.

იურიდიული დახმარების სამსახურის სატენდერო კომისია თბილისი, 2009 წლის 10 თებერვალი

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს განცხადება

2009 წლის 3 თებერვლის გაზეთ „24 საათი“ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ №3, №5, №9, №10, №11, №12, №13, №17, №21, №22, №29 და №30 სალიცენზიო ობიექტებზე აუქციონის გამოცხადების შესახებ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში გაიპარა ტექნიკური შეცდომა, გამორჩა №7 ობიექტი. ღნიშნულიდან გამომდინარე, ვაქვეყნებთ ინფორმაციას №7 სალიცენზიო ობიექტზე აუქციონის გამოცხადების შესახებ შესაბამისი პირობებითა და სარგებლობისათვის დადგენილი მოთხოვნებით

ობიექტის №	ქალაქი, რაიონი, სოფელი ან დასახლებული პუნქტი	საბაზო ან გამოვლინება	კატეგორია	ლიცენზიის მოქმედების ვადა	მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა	აუქციონის საწყისი ფასი (ლარი)	„ბე“ საწყისი ფასის 20% (ლარი)	სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს მიერ გაწეული მომსახურების საფასური (ლარი)
7	ახალქალაქი, სოფ. ჰაერას მიმდებარე ტერიტორია	„ფარაენის“ ბაზალტის (მოსაპირკეთებელი) გამოვლინება	P	10 წელი	24 000 მ ³	10 000	2 000	1 145,40
აუქციონის ჩატარების ადგილი				საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ჭავჭავაძის ქ.№12; ტელ. 98 20 13, 98 23 62 აუქციონი ჩატარდება აუქციონში მონაწილეობის მიღების თაობაზე პირველი განაცხადის შემოტანის შემდეგ მე-4 სამუშაო დღეს 11 საათზე, ხოლო განცხადებების მიღება მთავრდება აუქციონის ჩატარების წინა სამუშაო დღეს.				
ლიცენზიის მიძიებული პირი ვალდებულია გადაიხადოს სალიცენზიო მოსაკრებელი 200 ლარის ოდენობით წინასწარ და მისი გადახდის დამადასტურებელი საბუთი დაურთოს აუქციონში მონაწილეობის მისაღებად წარმოდგენილ განცხადებას.				სალიცენზიო მოსაკრებლის ანგარიშის ნომერი: ერთიანი ანგარიში არასავადასახადო (თბილისი), ანგარიშის ნომერი 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 300773069				
დოკუმენტაციასთან და მოსაკრებლის ქვითართან ერთად წარმოადგინოს „ბე“-ს შემოტანის ქვითარი				„ბე“-ს გადახდის ანგარიში: ერთიანი ანგარიში არასავადასახადო (ცენტრალიზებული შემოსულობები) ანგარიშის ნომერი: 200122900, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: 220101222, სახაზინო კოდი: 302005000				
მე-7 ობიექტზე გამარჯვებული პირი ვალდებულია ლიცენზიის მიღებამდე გადაიხადოს სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ მიერ გაწეული მომსახურების საფასური				სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს სს „პროგრესი“-ს ცენტრალური ფილიალი, ბანკის კოდი: 220101922, ანგარიშის № 360801011300180, სან. კოდი: 204559691				
სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად წარსადგენი დოკუმენტაცია				განცხადება აუქციონში მონაწილეობის თაობაზე: ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდ. მეწარმისათვის – სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერი. ბ) ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციისათვის დამადასტურებელი კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. გ) საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის – სადამფუძნებლო საბუთების დამოწმებული ასლები. დ) სალიცენზიო მოსაკრებლის გადახდის ქვითარი. ე) „ბე“-ს შემოტანის დამადასტურებელი საბუთი.				
თანხის გადახდის პირობები				აუქციონში გამარჯვებული პირის მიერ აუქციონზე დაიქირებული საბოლოო თანხის გადახდის ვადა განისაზღვრება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 2008 წლის 4 აპრილის №1-1/480 ბრძანებით დამტკიცებული „სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ“ დებულების მე-11 მუხლის შესაბამისად. მოცემულ დროის მონაკვეთში თანხის სრულად გადახედლობის შემთხვევაში, გამარჯვებულს ერთმევა გამარჯვებულის სტატუსი და მასზე ვრცელდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.				
სალიცენზიო პირობები და სარგებლობისათვის განსაზღვრული მოთხოვნები				დაცული იქნეს წიაღით, როგორც ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „წიაღის შესახებ“ და „წყლის შესახებ“ საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მოთხოვნები.				
				აუქციონზე „ბიჯის“ სიდიდე შეადგენს საწყისი ფასის 10 პროცენტს				
გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები				გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.				

განცხადება ტენდერის ჩატარების შესახებ

- ხელგაწიურის მუნიციპალიტეტის გამგეობა (დაბა ხელგაწიური დ. აღმაშენებლის ქ. №21) აცხადებს ტენდერს, ხელგაწიურის მუნიციპალიტეტში საცხოვრებელი სახლების სახურავების შეკეთება-გადახურვის სახელმწიფო შესყიდვასე და ოქკებს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ქვედა დაინტერესებულ პირს.
დოკი №1. სოფ. სახაბურში №1 და №7 საცხოვრებელი სახლების გადახურვა;
დოკი №2. სოფ. ფერიაში №29 საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
დოკი №3. სოფ. კახაბურში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
დოკი №4. სოფ. ჭარხალიში №1, №2 და ზედა უბანში №1 საცხოვრებელი სახლების გადახურვა;
დოკი №5. დაბა ხელგაწიურში დაღმაშენებლის ქ. №56^ა საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
დოკი №6. დაბა ხელგაწიურში დაღმაშენებლის ქ. №62 საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
დოკი №7. დაბა ხელგაწიურში დაღმაშენებლის ქ. №40^ა საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
დოკი №8. დაბა ხელგაწიურში დაღმაშენებლის ქ. №48 საცხოვრებელი სახლის გადახურვა;
- მიწოდების სავალდებულო ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვე.
- სატენდერო დოკუმენტაციის (ქართულ ენაზე) გატანა შესაძლებელი იქნება სატენდერო მოსაკრებლის გადახდისა და გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, 2009 წლის 11 თებერვლის 11:00 საათიდან 2009 წლის 03 მარტის 18:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: დაბა ხელგაწიური, აღმაშენებლის ქ. №21, ხელგაწიურის მუნიციპალიტეტის გამგეობა.
- სატენდერო მოსაკრებლის ოდენობა შეადგენს 200 (ორასი) ლარს. მოსაკრებელი გადაიხდის უნდა იქნეს შემდეგ ანგარიშზე: მიმღები - ხაზინის ერთიანი ანგარიში არასავადასახადო-ხელგაწიური, ანგ №200122900, სახელმწიფო ხაზინა - ბანკის კოდი 220101222, საბიუჯეტო შემოსავლების სახაზინო კოდი 300733174. გადახდის დანიშნულება: ადგილობრივი სატენდერო მოსაკრებელი.
- დაინტერესებულმა პირებმა განცხადება (დალუქვის გარეშე), საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება, ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, დალუქული პაკეტებით უნდა წარმოადგინონ 2009 წლის 04 მარტს 10 საათიდან 17 საათამდე შემდეგ მისამართზე: დაბა ხელგაწიური, დ. აღმაშენებლის ქ. №21. III-ე სართული, ოთახი №12, სატენდერო კომისიის აპარატი.
- საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:
6.1 იურიდიული პირისათვის:
ა) ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;

- ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ იურიდიული პირის მიმართ არ მიმდინარეობს გადახდის უუნარობის საქმის წარმოება (გაკატრება და რეაბილიტაცია);
- გ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან, რომ არ ხორციელდება ადგილობრივი პირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია;
- დ) ცნობა საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან, რომ ადგილობრივი პირის ქონებაზე არ არის დადებული ყადაღა.
- 6.2 ფიზიკური პირისათვის:**
ა) ცნობა უწყვეტად მოხდის სამედიცინო დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
ბ) ცნობა სასამართლოდან, რომ ფიზიკური პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკატრების საქმის წარმოება.
- 6.3 როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირისათვის:**
ა) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან ბიუჯეტის წინაშე დაედიანების არარსებობის შესახებ;
ბ) ცნობა მომსახურე ბანკიდან საბანკო ანგარიშზე ყადაღის (ინკასოს) არარსებობის შესახებ;
გ) პრეტენდენტი პირების რეკვიზიტები (მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელის სახელი გვარი, ტელეფონი/ფაქსი, მობილური, ელექტრონული ფოსტა e-mail).

შენიშვნა:	პრეტენდენტებმა სატენდერო წინადადებასთან ერთად (ერთ დალუქულ კონვერტში) უნდა წარმოადგინონ სუბკონტრაქტორების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები განცხადების მიერ პუნქტის შესაბამისად;
	განცხადების მიერ პუნქტში სამოთხედი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები უნდა იყოს გაცემული არაუმეტეს სატენდერო განცხადების გამოქვეყნებიდან სატენდერო წინადადების მიღების თარიღამდე.

- პრეტენდენტებს უფლება აქვთ წარმოადგინონ ერთი სატენდერო წინადადება. ტენდერში დოკუმენტის მიხედვით გამოვლინდება რამდენიმე გამარჯვებული.
- დამატებითი ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი პირისაგან – მინუარ მანველიძე ტ. 5 93 27 მისამართზე: დაბა ხელგაწიური დ. აღმაშენებლის ქ. №21.

სატენდერო კომისია

საქმე N2/5636-2008

დაუსრულებელი გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო სასამართლოს სახელით

09 დეკემბერი 2008 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე მკაცრეძე

მოსარჩელე - შპს საქნიგნი

მოპასუხე - ლამარა ალექსიშვილი

დავის საგანი - თანხის დაკისრება;

განიხილა დაუსრულებელი გადაწყვეტილების მიღების საკითხი

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას 2007 წლის 10 დეკემბერს სარჩელით მომართა შპს საქნიგნი ლამარა ალექსიშვილის მიმართ და მოპასუხეზე თანხის დაკისრება მოითხოვა.

სარჩელის ფაქტობრივი გარემოებები:

2002 წლის 2 იანვარს შპს საქნიგნი და ლამარა ალექსიშვილს შორის გაფორმდა უძრავი ქონების ქირავნობის ხელშეკრულება. ხელშეკრულებით გამქირავებელი იღებდა ვალდებულებას, დამქირავებლისთვის ქირის წესით გადაეცა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, მდებარე ქ. თბილისი, ნერეთლის გამზირი №110 საერთო ფართობი - 57,89 კვ.მ; ხოლო დამქირავებელი იღებდა ვალდებულებას, მიეღო ქირავნობის ობიექტი და გადაეხადა ქირის ღირებულება, რაც ყოველთვიურად შეადგენდა 42,8 აშშ დოლარის ექვივალენტს ლარებში. საერთო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეადგენდა გადაუხდელი თანხის 0,2%-ს. დამქირავებელი სარგებლობდა ქირავნობის ობიექტით 2007 წლის 16 იანვრამდე.

მოსარჩელემ მოითხოვა დაეკისროს მოპასუხეს 13 876,46 ლარი.

სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 232-ე პრიმა, 234-237-ე, 55-ე მუხლებით

გ ა და წ ყ ვ ი ტ ა :

- 1. შპს საქნიგნის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
2. ლამარა ალექსიშვილს დაეკისროს მოსარჩელე შპს საქნიგნის სასარგებლოდ 13876,46 ლარის გადახდა;
3. ლამარა ალექსიშვილს დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის 404,20 ლარის გადახდა მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ასანაზღაურებლად;
4. გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მოპასუხისათვის დაუსრულებელი გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან 10 (ათი) დღის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში საჩივრის წარმოდგენით. ამ ვადის გასვლის შემდეგ დაუსრულებელი გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და აღარ გასაჩივრდება.

მოსამართლე მ. ჭედა

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ტ ე ნ დ ე რ ი ს ჩ ა ტ ა რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ ა

- 1. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო აცხადებს ტენდერს მცირე მექანიზაციის ტექნიკური საშუალებების შესყიდვაზე და ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ინვესტორს უწევს დაინტერესებულ პირს;
2. დაფინანსების წყარო - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტი;
3. შესყიდვის ობიექტი - მრავალფუნქციური მოტობლოკი;
4. შესყიდვის ობიექტის მოკლე დახასიათება - შესყიდვის ობიექტი დაყოფილია 1 ლოტად;

Table with 4 columns: Lot No, Description, Quantity, Price. Row 1: 1, მრავალფუნქციური მოტობლოკი, ძრავის სიმძლავრე არინაკლებ 4,4 კვტ, 75. Row 2: სულ, 75.

- 5. საქონლის მონოდება უნდა განხორციელდეს DDP პირობით ქალაქ ბათუმში, არაუგვიანეს 2009 წლის 15 ივნისისა;
6. დაინტერესებულმა პირებმა საკვალიფიკაციო მონაცემები და სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ ქართულ ენაზე დალუქული კონვერტით სატენდერო კომისიაში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, რუსთაველის ქ. №8, მე-2 სართული, ოთახი № 12;

7. საკვალიფიკაციო მონაცემები უნდა შეიცავდეს შემდეგ ცნობებსა და ინფორმაციას:

7.1 იურიდიულ პირთათვის:

- ამონაწერი სამწარმოო რეგისტრაციის ტენდერში მონაწილე პირის რეგისტრაციის შესახებ;
- ცნობა უფლებამოსილი დაწესებულებიდან ტენდერში მონაწილე პირის ქონებაზე ყადაღის არარსებობის შესახებ;
- ცნობა უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ ტენდერში მონაწილე პირის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების ან რეაბილიტაციის საქმის წარმოება;

7.2 ფიზიკურ პირთათვის:

- ცნობა უფლებამოსილი დაწესებულებიდან, რომ ფიზიკური პირი ქმედუნარიანია;
- ცნობა სასამართლოდან, რომ მის მიმართ არ მიმდინარეობს გაკოტრების საქმის წარმოება;

7.3 როგორც ფიზიკურ, ასევე იურიდიულ პირთათვის:

- რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, ხელმძღვანელის სახელი და გვარი, საიდენტიფიკაციო კოდი, საბანკო რეკვიზიტები);
- ცნობა საგადასახადო ინსტრუქციადან - გააჩნია თუ არა ტენდერში მონაწილეობის მსურველს საგადასახადო დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტისადმი;
- ინფორმაცია ანალოგიურ საქმიანობაში გამოცდილების შესახებ;
- დოკუმენტაციის მოსაწოდებელი საქონლის ხარისხის შესახებ;

- სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიას სატენდერო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობით;
- ბანკის მიერ გაცემული წერილობით თანხმობას პრეტენდენტის ტენდერში გამარჯვების შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით გარანტიის გაცემის თაობაზე სახელშეკრულებო თანხის 3% ოდენობით.
8. შერჩევის ეტაპზე შემდგომ დაზუსტებას არ ექვემდებარება განცხადების მე-7 მუხლში მითითებული ინფორმაცია (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საჭირო გახდება საკვალიფიკაციო მონაცემების ხელახალი დადასტურება და ასევე "სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული შემთხვევებისა);
9. სატენდერო დოკუმენტაციის გატანა ტენდერში მონაწილეობის მიღების მსურველებს შეეძლებათ სატენდერო მოსაკრებლის 200 (ორასი) ლარის გადახდის დამადასტურებელი ქვითრის წარმოდგენის შემდეგ, ტენდერის ჩატარების შესახებ განცხადების გამოქვეყნებიდან 2009 წლის 2 მარტის 17 საათამდე;
10. სატენდერო მოსაკრებელი გადახდილი უნდა იქნას შემდეგ რეკვიზიტებზე:
მიმღები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სახაზინო სამსახური, საიდენტიფიკაციო კოდი - 245444844;
ბანკი: სს "საქართველოს ბანკი", ბანკის კოდი 220 101 502, ანგარიშის №897293000;
გადახდის დანიშნულება - სატენდერო მოსაკრებელი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო;
11. ტენდერში მონაწილეობის მსურველებმა ქართულ ენაზე შედგენილი სატენდერო წინადადება უნდა წარმოადგინონ დალუქული კონვერტით 2009 წლის 3 მარტის 9.00 საათიდან 17.00 საათამდე და 2009 წლის 4 მარტის 9.00 საათიდან 15.00 საათამდე ზემოაღნიშნულ მისამართზე;
12. სატენდერო წინადადებების გახსნა მოხდება ტენდერში მონაწილეობის თანდასრულებით 2009 წლის 4 მარტს, 15.00 საათზე;
13. ტენდერში მონაწილეობის მსურველ ნებისმიერ პირს უფლება აქვს სატენდერო მოსაკრებლის გადახდამდე გაეცნოს სატენდერო დოკუმენტაციას;
14. საკვალიფიკაციო მონაცემებისა და სატენდერო წინადადებების შერჩევა მოხდება "სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების წესის შესახებ" დებულების მე-15 მუხლის შესაბამისად;
15. ალტერნატიული წინადადებები არ განიხილება, ტენდერში არ გამოიყენება სატენდერო წინადადებების გახსნის ალტერნატიული წესი;
